

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმა თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში



ნანა სუმბაძე
საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი

ანგარიში
ნოემბერი, 2014 წ.



გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და ნახალისებას.

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

ISBN 978-9941-0-7168-3

მადლობა

კვლევა განხორციელებულია გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით. ავტორი მადლობას უხდის გაეროს ქალთა ორგანიზაციას, განსაკუთრებით - თამარ საბედაშვილს და ირინა ჯაფარიძეს რჩევებისა და დახმარებისათვის, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს - მაია მაისურაძეს, ეკატერინე ფირცხალავას, ეთერ საჭაიას, თინათინ ერისთავს, სოფიო ქიტიაშვილს და ინტერვიუერებს განეული თანამშრომლობისათვის.

რეზიუმე	5
1. კვლევის თვისობრივი კომპონენტი	10
1.1. ოჯახში ძალადობის აღქმა	10
1.2. ოჯახში ძალადობის მიზეზები	11
1.3. ოჯახში ძალადობის შედეგები	14
1.4. ოჯახში ძალადობაზე რეაგირების გზები	16
1.5. ოჯახში ძალადობის პრევენციის საშუალებები	18
1.6. შეჯამება	20
2. კვლევის რატონობრივი კომპონენტი	22
2.1. დემოგრაფიული მონაცემები	22
2.2. ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების ხარისხი	22
2.3. გენდერული თანასწორობა	23
2.4. ოჯახში ძალადობის გავრცელება	27
2.5. ოჯახში ძალადობის გავება	31
2.6. ოჯახში ძალადობის მიზეზები	35
2.7. რეაქცია ოჯახში ძალადობაზე	39
2.8. მართებული ქცევა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში	42
2.9. ინფორმაციის წყაროები	47
2.10. ცოდნა ოჯახში ძალადობის შედეგებისა და არსებული მომსახურების შესახებ	52
2.11. ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები	54
3. კვლევის შედეგების შედარება სხვა კვლევებთან	57
4. დასკვნები	59
5. განსახორციელებელი ჭეშმარიტებები	61
ბიბლიოგრაფია	65

რეზიუმე

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ქალებისა და გოგონების მიმართ განხორციელებული ძალადობისადმი და ოჯახში ძალადობისადმი საქართველოს მოსახლეობის, კერძოდ თბილისის, კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მაცხოვრებლების დამოკიდებულების დადგენა და ძალადობის მსხვერპლებისათვის არსებული მომსახურების არსებობის შესახებ ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა. წინამდებარე კვლევა ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) დაკვეთით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა ჩატარა ადგილობრივმა კვლევითმა ორგანიზაციამ „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი“. კვლევის შედეგები მათ შორის საფუძვლად დაედება ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაგეგმვასა და შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებების მიერ ძალადობის მსხვერპლთათვის შეთავაზებული მომსახურების პოპულარიზაციას.

მეთოდოლოგია

საველე სამუშაოები ჩატარდა 2013 წლის ივლისი-სექტემბერში თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, რომლებიც ამავდროულად გაეროს ზემოაღნიშნული ერთობლივი პროგრამის სამიზნე რეგიონებია. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა კვლევისათვის გამოიყენა შერეული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავდა როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ ნაწილებს.

კვლევის თვისობრივი ნაწილის მიზანს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობისა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულების, ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემების, მისი მიზეზების, შედეგებისა და ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებების იდენტიფიკაცია.

თვისობრივ ნაწილში ფოკუს ჯგუფის ფორმატით, რვა დისკუსია გაიმართა ქალებთან და კაცებთან, ახალგაზრდებთან და ადმინისტრაციული საზღვრის ზოლის გასწვრივ მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებთან. განხილვებში სულ 78 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, აქედან 54 იყო ქალი და 24 კაცი. დისკუსიის შედეგები საფუძვლად დაედო რაოდენობრივ კვლევისთვის შექმნილ კითხვარს.

რაოდენობრივ კვლევაში 18-დან 80 წლამდე ასაკის 1500 რესპონდენტი (65.1% ქალი და 34.9% კაცი) გამოიკითხა. კითხვარი შედგებოდა 80 კითხვისაგან, რომელთა უმრავლესობა მოცემული კვლევისათვის იყო შედგენილი. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარების მიზნით, კითხვარში ჩართული იყო შეკითხვები ევრობარომეტრიდან (Eurobarometer, 2010წ.), ირლანდიაში ძალადობისადმი დამოკიდებულების კვლევიდან (Cosc, 2008წ.) და 26 ქვეყანაში გამოყენებული კითხვარიდან ძალადობის მიმდებლობის შესახებ (Pierrotti, 2013წ.). ეს 80 შეკითხვა დაჯგუფდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: 1. დემოგრაფიული მონაცემები; 2. ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების ხა-

რისხი; 3. ინფორმაციის წყაროები; 4. გენდერული თანასწორობა; 5. გენდერული როლები; 6. ოჯახში ძალადობა; 7. პასუხი ძალადობაზე; 8. ინფორმაცია ძალადობის შესახებ; 9. ზოგადი ნაწილი (კვლევის ინსტრუმენტი იხ. დანართში #2).

კვლევის თითოეულ ობიექტზე შეირჩა საწყისი წერტილი, რომლიდანაც ინტერვიუერებს დაევალებათ ყოველ მეხუთე სახლში მისვლა. პირისპირ ინტერვიუები ჩამოერთვათ ქართული ენის მცოდნე ადამიანებს. თითოეული ინტერვიუ გრძელდებოდა დაახლოებით 30-45 წუთი.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი ნაწილების შედეგები მიუთითებენ, რომ ოჯახში ძალადობა მძიმე პრობლემად არის აღიარებული ყველა სამიზნე რეგიონში. გამოკითხულთა 77.8 %-ს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობას ადგილი აქვს ძალზე ხშირად ან ხშირად.; რესპონდენტთა 66.8% პირადად იცნობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, ხოლო 56.3% მოძალადეს.

ოჯახში ძალადობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებების დარღვევად არის მიჩნეული. რესპონდენტთა 51%-ს მიაჩნია, რომ ქალები კაცებზე უფრო დაჩაგრულები არიან. თუმცა, ამავედროულად, გამოკითხული კაცებისა და ქალების 12.8%-ს მიაჩნია, რომ საქართველოში კაცებს ცალსახა უპირატესობა აქვთ ქალებზე. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს აშკარა კავშირი გენდერულ თანასწორობასა და მიმართ ძალადობას, აგრეთვე გენდერულ თანასწორობასა და ოჯახში ძალადობას შორის. ის მოქალაქეები, რომლებიც გენდერული თანასწორობის მომხრენი არიან, ნაკლებ ტოლერანტულნი არიან ძალადობის მიმართ.

გამოკითხულთა 97.1%-ის აზრით, ფიზიკური ძალადობა, ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმაა. შემდეგ, ძალადობის მძიმე ფორმად აღქმულია სექსუალური ძალადობა (94.4%), კონტაქტების შეზღუდვა (91%), გადაადგილების შეზღუდვა (89.2%), ეკონომიკური კონტროლი (89%) და სიტყვიერი შეურაცხყოფა (83.5%). სიტყვიერი ძალადობა მიჩნეულია ძალადობის უფრო მძიმე ფორმების წინმსწრებ ფორმად.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა 57%-ის აზრით, ძალადობის ნებისმიერი შემთხვევა დანაშაულია. რესპოდენტები უფრო მკაცრები არიან ცოლის ცემის შეფასებისას და გამოკითხულთა 68.9% ფიქრობს, რომ ძალადობა ყოველთვის უნდა იქნეს კანონით დასჯილი. ძალადობის მიუღებლობის მაჩვენებელი მაღალია. წინა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებთან შედარება ცალსახად მიუთითებს ძალადობის მიუღებლობის ზრდაზე და მისი უფრო მეტად როგორც დანაშაულის და არა როგორც ოჯახის კერძო საქმედ აღქმაზე. ძალადობის გამართლების შესახებ წინამდებარე კვლევის შედეგების შედარება 26 ქვეყანაში მოპოვებულ პასუხებთან (Pierotti, 2013წ.) ცხადყოფს, რომ საქართველოში ძალადობის მიუღებლობა უფრო დიდია. მსოფლიო მასშტაბით 51%, ხოლო საქართველოში რესპონდენტთა 76.6% არც ერთ ჩამოთვლილ ხუთ შემთხვევაში ამართლებს ძალადობას (ცოლი ნებართვის გარეშე გადის სახლიდან; ცოლი უარს ამბობს სქესობრივ კავშირზე; ცოლი საჭმელს წვავს; ცოლი ეჩხუბება ქმარს; ცოლი ყურადღებას არ აქცევს ბავშვებს).

გამოკითხულთა 79% ძალადობაზე ადეკვატურ პასუხად განქორწინებას მიიჩნევს, ხოლო 17% ფიქრობს, რომ ქალმა ძალა-

დობა უნდა აიტანოს ოჯახის შესანარჩუნებლად. გამოკითხულთა 78.9%-ის აზრით, მოტაცების შემთხვევაში, ქალი ცოლად არ უნდა გაყვეს გამტაცებელს. თუ ქალი მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია, რესპონდენტებისათვის ყველაზე მეტად მისაღებია მსხვერპლის მიერ დახმარების ძიება ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან (76.20%), შემდეგ ეკლესიაში (73.7%), ადვოკატთან (65.3%), პოლიციასთან (62.8%), და სხვა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლებთან (53.3%). ოჯახში ძალადობასთან და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებად გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება (93.6%), მოძალადეთა კანონით დასჯა (87.7%), სამართლებრივი მექანიზმების გამკაცრება, ეკლესიის ჩარევა (80.5%) და ძალადობის პრობლემის მეტი გაშუქება მედიაში (80,1%) არის მიჩნეული. ასევე ხაზგასმულია მოძალადესთან მუშაობის აუცილებლობა.

გემოაღნიშნულ ზოგად მიგნებებთან ერთად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები სამივე სამიზნე რეგიონის, რესპონდენტთა სქესის, ასაკის და განათლების დონის მიხედვით.

რეგიონულ ჭრილში ძალადობისადმი შეუწყნარებლობა, გენდერული თანასწორობის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და ოჯახში ძალადობისა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა სერიოზულ პრობლემად აღქმა ყველაზე დიდია თბილისში, შემდეგ კახეთში და შესაბამისად ყველაზე ნაკლები სამეგრელო-ზემო სვანეთში.

ქალები კაცებზე უფრო ნაკლებ ტოლერანტობას იჩენენ ძალადობის მიმართ და

უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი მისი შედეგების და არსებული მომსახურების შესახებ.

მკვეთრია განსხვავება 60 წელს გადაცილებულ და უფრო ახალგაზრდა რესპონდენტებს შორის. ასაკოვანი რესპონდენტები უფრო ტოლერანტულები არიან ძალადობის მიმართ, მათ უფრო მეტად მიაჩნიათ იგი ოჯახის საქმედ და ნაკლებად დანაშაულად. ისინი უფრო ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ. ახალგაზრდა რესპონდენტები 31-60 წლის ასაკობრივ ჯგუფში ნაკლებად ტოლერანტულები არიან ძალადობის მიმართ.

ამასთან, განათლების დონეს აშკარა კავშირი აქვს ძალადობის მიმართ დამოკიდებულებასთან. გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა და ძალადობის მიუღებლობა ბევრად უფრო დიდია უმაღლესი, ვიდრე უფრო დაბალი საფეხურის განათლების მქონე ადამიანებში.

განსხვავებები რეგიონის, ასაკის და განათლების მიხედვით, შეიძლება განიმარტოს გლობალური სცენარების დიფუზიის ცნების მიხედვით (Mayer et. al., 2010წ.) - დამოკიდებულებების ცვლილება ხორციელდება უფრო გლობალური იდეების გავრცელების, ვიდრე ადგილობრივი პოლიტიკის შედეგად. ამდენად, განათლების უფრო მაღალმა დონემ და ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან წვდომამ, რაც უფრო ხშირად გვხვდება დედაქალაქის მაცხოვრებლებში და ახალგაზრდებში, შეიძლება ახსნას მოსახლეობის ამ სეგმენტს ძალადობისადმი უფრო მეტად შეუწყნარებელი დამოკიდებულება.

განსახორციელებელი ქმედებები

- **ცნობიერებისამაღლებისინიციატივები, რომლებიც გამიზნულია საზოგადოების ყველა სეგმენტზე და მოქალაქეების მონაწილეობა ამგვარ კამპანიებში** - ოჯახში ძალადობისა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის გაგება, მოითხოვს მთელ საზოგადოებაზე მიმართულ მოქმედებათა კომპლექსის განხორციელებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. აუცილებელია აქცენტის გაკეთება იმაზე, თუ რა ზეგავლენა აქვს ოჯახში ძალადობას ბავშვებზე. აუცილებელია ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში მოსახლეობის აქტიური ჩართვა. ამასთან, აუცილებელია ჟურნალისტიკის სწავლება გენდერული თანასწორობის საკითხებისა და გენდერულად მგრძნობიარე ჟურნალისტიკის შესახებ. ცნობიერების ამაღლების ტრადიციულ სტრატეგიებთან ერთად, მნიშვნელოვანია ინოვაციური მე-თოდების გამოყენების მხარდაჭერა.

- **გენდერული თანასწორობის პოპულარიზაცია** - მეტად მნიშვნელოვანია მედიის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება, მათ შორის სოციალური მედიისა, გენდერული თანასწორობის, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების განუყოფელი ფასეულობის პოპულარიზაციისათვის და როგორც საშუალებისა ოჯახში ძალადობისა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლისათვის. აუცილებელია კაცის, როგორც მეუღლის და ბავშვებზე მგრუნველის ხატის პოპულარიზაცია. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები მიმართული უნდა იყოს როგორც კაცებზე, ისე ქალებზე.

- **აღზრდა** - მოძალადის და მსხვერპლის როლების დასწავლა/გათავისება ბავშვობაში, ოჯახში ხდება. ძალადობის თვითმხილველი ბავშვი, ზრდასრულობაში ხშირად თვითონ არის მოძალადე ან ძალადობის მსხვერპლი. ძალადობის ჯაჭვის გასაწყვეტად აუცილებელია ჯანმრთელი ოჯახური გარემო. ამისათვის, საჭიროა მშობლებში თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის ღირებულებების დამკვიდრება, რის განხორციელებაც შესაძლებელია მედიასაშუალებებით, მშობლების ინფორმირებით ბუკლეტების, კონსულტაციებისა თუ ტრენინგების მეშვეობით.

- **განათლება** - გენდერული თანასწორობის სწავლება ინტეგრირებული უნდა იყოს განათლების ყველა დონის, დაწყებული სკოლამდელი და დამთავრებული უმაღლესი განათლების პროგრამებში. სკოლის კურიკულუმში ასახული უნდა იყოს საკუთარი მიზნების არააგრესიული გზით მიღწევის, კომპრომისის ტექნიკის სწავლება.

- **ქალების გაძლიერება** - ქმედებები უნდა განხორციელდეს ქალების რესურსების, მათ შორის მათთვის ეკონომიკური რესურსებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

- **მართლმადიდებლური ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობა** - მოძიებული უნდა იქნეს შესაძლებლობები რელიგიურ ლიდერებთან თანამშრომლობისათვის, კერძოდ იმისათვის, რომ ისინი ჩაერთონ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და მშვიდობის, სიყვარულის და სქესის მიუხედავად ადამიანის ღირსების მიმართ პატივისცემის პოპულარიზაციისათვის.

- **ძალადობის კრიმინალიზაცია** - ძალადობის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების და არა ოჯახის კერძო საქმის აღქმის პოპულარიზაცია, ასევე საზოგადოებაში ძალადობის და უთანასწორობის ნებისმიერი ფორმისადმი მიუღებლობის დამკვიდრება.

- **მსხვერპლის მხარდაჭერა** - უნდა შეიქმნას მსხვერპლის ფსიქოლოგიური, იურიდიული და სამედიცინო მხარდაჭერის მეტი შესაძლებლობები. უნდა მოხდეს მსხვერპლის განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა. მსხვერპლის ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. რეგიონებში უნდა გაიხსნას მეტი თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი.

- **მოძალადის რესოციალიზაცია** - მოძალადის ფსიქოლოგიური კონსულტაცია, ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის შემთხვევაში მისი მკურნალობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი და სასამართლოს გადანაცვტილებით სავალდებულო.

- **ბავშვისადმი ძალადობის პრობლემის გაცნობიერება** - კვლევამ ცხადყო, რომ მშობლები ვერ ახდენენ ბავშვისადმი საკუთარი ქცევის სწორ იდენტიფიკაციას, ვერ ავლებენ ზღვარს აღზრდასა და ძალადობას შორის და ძალადობას აღმზრდელობით აუცილებლობად მიიჩნევენ. აუცილებელია მშობელთა კონსულტირება, ინფორმირებულობის გაზრდა და მათთვის ტრენინგების ჩატარება სწორად აღზრდისა და ბავშვის კეთილდღეობაზე ძალადობის უარყოფითი შედეგების შესახებ.

- **სიძულვილის ენისა და ბილნსიტყვაობის გამოყენების შეზღუდვა** - კვლევაში გამოჩნდა სიტყვიერი შეურაცყოფის, ბილნსიტყვაობის, როგორც ფიზიკური ძა-

ლადობის წინმსწრები ფორმის როლი. ბილნსიტყვაობის მიუღებლობის მიდგომა მედიისა და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მისი მკაცრი აკრძალვის, სკოლაში ზრდილობის ნორმების ჩამოყალიბების მეშვეობით უნდა იქნეს დანერგილი.

- **ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის, მისი გავრცელებისა და ძალადობისადმი დამოკიდებულების კვლევების რეგულარულად ჩატარება** - ცნობიერების ამაღლებისათვის განხორციელებული ქმედებების მონიტორინგის და შემდგომი ინიციატივების დაგეგმვის მიზნით ძალადობის გავრცელებისა და მის მიმართ საზოგადოებრივი დამოკიდებულების კვლევების რეგულარულად, 3 წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარება.

- **დიფერენცირებული მიდგომის გამოყენების აუცილებლობა** - ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი ინტერვენციების განხორციელების აუცილებლობის გარდა, კვლევაში გამოიკვეთა რეგიონის, სქესის, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით ფოკუსირებული ცნობიერების ამაღლების კამპანიის საჭიროება. კვლევამ აჩვენა, რომ გენდერული თანასწორობის იდეის პოპულარიზაციის აუცილებლობა სამეგრელო-ზემო სვანეთში უფრო დიდია, ვახეთსა და თბილისთან შედარებით. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კაცებზე, რადგან ისინი მეტად მიდრეკილნი არიან მიიღონ და დაეთანხმონ უთანასწორობას, ვიდრე ქალები. საჭიროა მეტი ძალისხმევა უმაღლესი განათლების არმქონე პირების ცნობიერების ასამაღლებლად. განსხვავებული საშუალებების გამოყენება უნდა მოხდეს ახალგაზრდა, საშუალო და ხანდაზმული ასაკის ადამიანებთან მუშაობისას.

1. კვლევის თვისობრივი კომპონენტი

თვისობრივი კვლევის მიზანს წარმოადგენს ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების და ამ ფენომენების მიზეზებისა და შედეგების, აგრეთვე ძალადობასთან ბრძოლის საშუალებების შესახებ ცნობიერების შესწავლა.

1.1. ოჯახში ძალადობის აღქმა

ოჯახში ძალადობის მნიშვნელობა, მისი მიზეზები და შედეგები ისევე, როგორც მასთან ბრძოლის შესაძლო ეფექტიანი საშუალებები განხილული იქნა რვა ფოკუს ჯგუფთან (სულ 78 რესპონდენტის - 54 ქალისა და 24 კაცის მონაწილეობით) თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

დისკუსიის მონაწილეთა უმეტესობა ოჯახში ძალადობას აღიქვამს, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევას. მონაწილეებმა ისაუბრეს ოჯახში ძალადობის ფართო გავრცელების და მის ყოვლისმომცველი ხასიათის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის გარდა, ასევე ზოგჯერ ადგილი აქვს ქალების მხრიდან ძალადობას ქმრებზე, მშობლებს და ბაბუა-ბებუების მხრიდან ძალადობას ბავშვებზე და ძმების მხრიდან ძალადობას დებზე.

ძალადობა ძალზე გავრცელებულია კახეთში. ეს არის არა მარტო ქმრის ძალადობა ცოლზე, არამედ დედებისა და მამების ძალადობა შვილებზე, ბებია-ბაბუის შვილიშვილებზე (დისკუსიის მონაწილე ქალი თელავში).

მონაწილეებმა ასევე მიუთითეს ოჯახში ძალადობის ციკლურ, უსასრულო ხასიათზე. ბავშვი, რომელიც იყო ძალადობის მსხვერპლი ან მონმე, ხშირად თვითონ ხდება მოძალადე ან მსხვერპლი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თანახმად, ბოლო 10 წლის მანძილზე გენდერული თანასწორობის თვასაზრისით შეიმჩნევა პროგრესი. გაიზარდა ნდობა ქალების მიმართ. ქმრები მათ უშვებენ სამუშაოდ, ასევე საზღვარგარეთ. ქალებს აქვთ მანქანის მართვის უფლება.

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ძალადობა არ გულისხმობს მხოლოდ ცემას, რომ ფიზიკური ძალადობის გარდა, მასში იგულისხმება ასევე ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, თავისუფლების შეზღუდვა და კონტროლი.

ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა გულისხმობს ცემას, დარტყმას, საგნების სროლას მსხვერპლის მიმართულებით, თმებით თრევას და სხვა. მას ძირითადად კაცები ახორციელებენ თავიანთი მეუღლეების მიმართ.

ფსიქოლოგიური ძალადობა

ბევრ ჯგუფში აღინიშნა, რომ ფიზიკურზე უფრო მძიმე ფსიქოლოგიური ე.ი. ემოციური ძალადობაა. იგი ადამიანს მთელი ცხოვრება გაყვება და უფრო გავრცელებულია, ვიდრე ფიზიკური ძალადობა.

მე ვიტყვოდი, რომ ყველაზე მძიმე შე-
იძლება იყოს ფსიქოლოგიური ძალა-
დობა, რადგან ეს დაღად ესმება ადამიანს
და მთელი ცხოვრების განმავლობაში
გაყვება. სიტყვიერი შეურაცხყოფა თი-
თქმის ყოველდღიურობაშია, იქ ბილ-
ნსიტყვაობა, იქ რაღაცა, იქ რაღაცა...
(დისკუსიის მონაწილე ქალი ორსან-
ტიაში, სამეგრელო).

ფსიქოლოგიურ ძალადობას წარმო-
ადგენს ყვირილი, დაშინება, ბილნსი-
ტყვაობა, დაცინვა, შეურაცხმყოფელი
და დამამცირებელი სიტყვები, თვითშე-
ფასების დაწევის მცდელობა.

ქალებს თვითშეფასებას უდაბლებენ.
სკოლაში ბევრი მასწავლებელი ხაზს
უსვამს, რომ ბიჭები უფრო ნიჭიერები
არიან და გოგოები ნიშნებს მხოლოდ
სიბეჭითის ხარჯზე იღებენ (დისკუსიის
მონაწილე ახალგაზრდა ქალი თელავში).

ქართველი კაცების საყვარელი გამო-
ნათქვამია: – “ქალის ადგილი “კუხ-
ნაშია”. ამ დროს ქალის თვითშეფასება
დაბლა იწევს. ეს არის ფსიქოლოგიური
ზენოლა (დისკუსიის მონაწილე ახალ-
გაზრდა კაცი თბილისში).

ეკონომიკური ძალადობა

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა განცხა-
დებით, ეკონომიკური ძალადობას აქვს
ადგილი, როდესაც ქმარი ქალს ფულს
არ აძლევს, ან მას ხელფასს ართმევს.
ძალადობაა, როდესაც ქმარი არ მუშაობს
და ქალის მიერ გამოიმუშავებულ ფულს
ხარჯავს თავის სიამოვნებაზე, მაგ: კაზი-
ნოში თამაშობს. ხშირად ქალები მუშაობენ
მინაზე, კაცები კი “ბირჟაობენ”.

ძალადობაა, როდესაც ქმარი არაფერს
აკეთებს და ცოლს აგზავნის სამუშაოდ

საზღვარგარეთ, რომ იმის გამოგზავნილი
ფულით სიგარეტი იყიდოს, არაფერი
აკეთოს და უზრუნველად იცხოვროს.
ცოლის გამოგზავნილი ფულით სხვა
ქალთან ამყარებს ურთიერთობას და
თავს იმით იმართლებს, რომ ცოლი აქ
არ არის (დისკუსიის მონაწილე ქალი
თელავში, კახეთი).

თავისუფლების შეზღუდვა და კონტროლი

დისკუსიის მონაწილეებს ადამიანის უფ-
ლებების დარღვევად და შესაბამისად
ძალადობად მიაჩნიათ, როდესაც ადამი-
ანები არ ითვალისწინებენ ერთმანეთის
ღირებულებებს, ინტერესებს და აზრებს.
ასევე, როდესაც ოჯახში ერთი წევრი -
ცოლი ან ქმარი ლიდერობს და ყოველთვის
ცდილობს თავის აზრების გატანას. ურ-
თიერთობების შეზღუდვა, ეჭვიანობა, მე-
ორესთვის ცხოვრების წესების დაწესება
და მისი ქცევის კონტროლი ძალადობად
აღიქმება.

ბავშვებზე ძალადობა

დისკუსიის მონაწილეებმა მიუთითეს, რომ
ხშირად ბავშვებს ზღუდავენ და თრგუნავენ,
მათ უჩიჩინებენ, რომ რაღაცის გაკეთება არ
შეუძლიათ, რომ სანადელს ვერ მიაღწევენ.
ხშირად, უფროსები ბავშვებს ასევე ლან-
ძლავენ და შეურაცყოფას აყენებენ. ბევრმა
მონაწილემ გამოთქვა მოსაზრება, რომ
აკრძალავს ძალადობა და ზოგჯერ ძნელი
ხდება აღზრდასა და ძალადობას შორის
ზღვარის გავლენა.

1.2. ოჯახში ძალადობის მიზეზები

დისკუსიის მონაწილეებმა ოჯახში ძალა-
დობის ძირითად მიზეზად გენდერული
უთანასწორობა დაასახელეს. კაცის უპი-
რატესობის აღიარება ხდება როგორც კა-
ცების, ისე ქალების მიერ.

კაცის კულტია სვანეთში და ბიბლია გვეუბნება იმას, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ კაცის მორჩილნი. ესეც ძალადობის მაგალითია (დისკუსიის მონაწილე ქალი მესტიაში, ზემო სვანეთი).

კაცისათვის უპირატესობის მინიჭებაში დისკუსიის ბევრი მონაწილე რელიგიური ტექსტების არასწორ ინტერპრეტაციას ხედავს, რაც ძალადობის მიზეზია და კაცების უპირატესობის პროპაგანდის საშუალებად გამოიყენება.

თუმცა, დისკუსიის მონაწილე კაცმა აღნიშნა, რომ ის, რომ უფროსი კაცია მზრუნველობას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ ოჯახში კაცი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას.

კაცის უპირატესობის გამოვლინებაა საქართველოში გაბატონებული დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც კაცი არის ოჯახის უფროსი და მას ყველაფერი ეპატიება.

კაცია უფროსი და ქალი არის მის შემდეგ ოჯახში. აი ეს არის მიზეზი (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა ქალი თელავში, კახეთი).

აღინიშნა, რომ უფრო მართებული იქნება ვილაპარაკოთ თანასწორუფლებიანობაზე.

შეიძლება ვიძახოთ გენდერული თანასწორობა და მერე აღმოჩნდება, რომ ვბრამბოთ, როცა კაცი არ გვითმობს ადგილს. თუ გენდერული თანასწორობაა, რატომ უნდა დაგვითმოს?! (დისკუსიის მონაწილე ქალი მესტიაში, ზემო სვანეთი).

მონაწილეებმა მიუთითეს, რომ გენდერული უთანასწორობა საზოგადოებაში არსებული

ცნობიერების დაბალი დონითაც არის გაპირობებული.

დისკუსიის მონაწილე ქალმა მესტიაში აღნიშნა, რომ უთანასწორობა პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს, რაც ასახულია ქალების მცირე რაოდენობაში პარლამენტსა და მთავრობაში.

ბევრ მონაწილეს მიაჩნია, რომ ძალადობა იმიტომ არის ასე გავრცელებული, რომ საზოგადოების მიმდებლობა ძალზე მაღალია ბილწისიტყვაობისა და გინების მიმართ, რაც განათლებისა და განვითარების დაბალი დონით არის გამოწვეული.

დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ძალადობის მიზეზი შეიძლება ბევრი რამ გახდეს, თუმცა ძირითადი პრობლემა თვითონ ადამიანშია, რაც ხშირად განპირობებულია მოძალადის აღზრდის თავისებურებებით. ისეთ სიტუაციაში გაზრდა, სადაც ოჯახში ძალადობა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა მიღებულია, ბავშვს უფრო ხშირად მოძალადედ ან მსხვერპლად აყალიბებს.

მიზეზი ხშირად ის არის, რომ ოჯახი ვაჟს ძალიან ბევრ მოთხოვნას უყენებს, რომლებსაც ის ვერ აკმაყოფილებს. ამის გამო კი მას უჩნდება აგრესია, რომელიც სხვებზე გადააქვს. ადამიანი, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზაციას, ხშირად ხდება მოძალადე.

კაცის მხრიდან არასრულფასოვნების კომპლექსი იწვევს ძალადობას. ამის მიზეზი არის ის, რომ ჩემ გვერდით არის ქალი, ის მაგარია და სიტყვით, საქმით ვერ ვამტკიცებ ჩემს უპირატესობას და ძალა მოცემულობით მეტი მაქვს, ამდენად, ვძალადობ (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა ქალი თბილისში).

არასრულფასოვნების განცდას ასევე ხელს უწყობს ის, რომ ცოლი მუშაობს, ქმარი კი არა. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ალკოჰოლიზმიც ხშირად ახდენს ძალადობის პროვოცირებას. თუმცა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა კაცმა ორსანტიაში, სამეგრელოში აღნიშნა, რომ კაცისათვის ალკოჰოლის მიღების აკრძალვა ძალადობად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც ქალი კაცის მიმართ ახორციელებს.

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ეჭვიანობა არის ხშირად ქალზე ძალადობის მიზეზი. ერთ-ერთი იძულებით გადაადგილებული რესპონდენტი ქალის აზრით, ეს ავადმყოფობაა და ასეთ კაცებს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდებათ.

ძალიან რთულია მგათთვისაც. ვიცო შეთხვევები, რომ არ უნდა კაცს ძალადობა, თუმცა ვერ იმორჩილებს თავს (დისკუსიის მონაწილე ქალი ორსანტიაში, სამეგრელო).

დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცები ბევრად უფრო ამართლებდნენ ძმის მიერ დაბე ძალადობას, ვიდრე ქმრის მიერ ცოლზე ძალადობას. მათ დებზე ძალადობა უფრო მისაღებად მიაჩნდათ იმდენად, რამდენადაც ეს, მათი აზრით, ემსახურება დის ქცევის გამოსწორებას და იმას, რომ მისი სახელი არ იქნეს შელახული.

ის ძმა იმ დას იმიტომ სცემს, რომ უნდა ის კარგი იყოს (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცი თელავში, კახეთი).

დისკუსიის მონაწილე კაცმა ორსანტიაში აღნიშნა, რომ ქალებიც ძალადობენ კაცებზე. ბევრმა მონაწილემ, ძირითადად კაცებმა, ცოლზე ძალადობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ქალის ქცევა დაასახელეს. მათი აზრით, ქალის მიერ ქმრი-

სადმი უპატივისცემლობას გამოხატვა, ღალატი, ძალადობის პროვოცირება, ის, რომ ქალს რაღაცას ვერ აგებინებ, იწვევს ძალადობას.

კაცი სცემს ქალს იქიდან გამომდინარე, რომ კაცი და ქალი განსხვავდება ერთმანეთისაგან ბიოლოგიურად და კაცს მეტი ფიზიკური ძალა გააჩნია. აქედან გამომდინარე, ქალი შეიძლება სუსტია, შეიძლება კი არა სუსტია და ვერ ახერხებს ძალადობას, რომ ცემოს, სამაგიეროდ ისეთ რამეს ეუბნება, რომ კაცი სცემს (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცი ზუგდიდში, სამეგრელო).

დედას ვფიცავ, თქვენ შეიძლება არ შეხვედრიხართ, მაგრამ არიან ქალები, რომლებიც უნდა ცემო (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცი ზუგდიდში, სამეგრელო).

დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა ქალი თბილისში ფიქრობს, რომ ქალმა კაცს არ უნდა მისცეს ძალადობის საბაზი იგულისხმა, რა რომ ზოგიერთი ქალი ცემას იმსახურებს.

მონაწილეთა აზრით, ქალების მიერ საკუთარი უფლებების არცოდნა, ბედთან შეგუება და პასიურობა ხშირად არის ძალადობის მიზეზი.

ქალების სისუსტეა ის, რომ ისინი დასაწყისში კაცებს უთმობენ, მერე კი ძნელია პოზიციის დაბრუნება. ქალებმა უფრო მეტად იციან თავის მოვალეობების, ვიდრე უფლებების შესახებ (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა ქალი თბილისში).

აღინიშნა, რომ ოჯახში ძალადობას ხელს უწყობს საზოგადოების დამოკიდებულება

მის მიმართ. საზოგადოება ხშირად თავს არიდებს ოჯახურ კონფლიქტში ჩარევას.

გარემომ შეიძლება კაცს უბიძგოს ძალადობისკენ, თუ მას მოძალადე მეგობრები ყავს, მანაც შეიძლება იგივე გაიმეოროს. ნერვიულმა ცხოვრებამ, პრობლემებმა შეიძლება კაცი იმ წერტილამდე მიიყვანოს, სადაც ის კარგავს კონტროლს. ძალადობის მიზეზი ხშირად არის ეკონომიკური მდგომარეობა. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, რომ არა ეს პრობლემები, ზოგიერთი კაცი არასოდეს გახდებოდა მოძალადე.

1.3. ოჯახში ძალადობის შედეგები

ძალადობის შედეგები მრავალმხრივია. ის ზეგავლენას ახდენს როგორც მსხვერპლზე, ასევე მოძალადეზე, ძალადობის თვითმხილველზე და ზოგადად საზოგადოებაზე.

ოჯახში ზემოქმედება მსხვერპლზე

დისკუსიის მონაწილეთა შორის განსხვავება არ იყო ძალადობის შეფასებაში. ყველა აღიარებდა, რომ ქალზე ძალადობის ზემოქმედება იყო ძალზე მძიმე. დისკუსიის წევრებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ სიმძიმე იმითაც იყო გაპირობებული, რომ ძალადობამ იცის შეჩვევა. მსხვერპლიც ეჩვევა და ეგუება მას.

იმდენად წარმოუდგენელია, რომ იმის იქით ნორმალური ცხოვრება არსებობს და არ სცემენ ადამიანს, რომ სადღაც ჩვეულებრივი თანაცხოვრობა და ურთიერთობაა, ვერ წარმოუდგენიათ (დისკუსიის მონაწილე ქალი მესტიაში, ზემო სვანეთი).

გამოითქვა აზრი, რომ ძალადობის შედეგად ქალი კარგავს საკუთარ მე-ს, იცევა უსარგებლო ნივთად, ფიქრობს რომ

არარაობაა, არაფერს წარმოადგენს.

ცხოვრება ემსგავსება უბრალო არსებობას. შენ არ ცხოვრობ, შენ არსებობ და ელოდები იმ დღეს, როცა ეს შეწყდება (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა ქალი ზუგდიდში, სამეგრელო).

ძალადობის შედეგია, რომ ქალი თმობს თავის პოზიციებს, დაბლა ეწევა თვითშეფასებას, ეუფლება მომავლის შიში, ეკარგება რაიმეს კეთების მოტივაცია, ეუფლება ქმრის შიში, ექმნება ჯანმრთელობის პრობლემები.

თელავში დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცის აზრით, ძალადობა ასევე იწვევს ქალში იმედგაცრუებას, პესიმიზმს, რადგან ქალი, როდესაც თხოვდებოდა, ელოდა სითბოს და სიყვარულს და არა ბილწიტიყვობას და შეურაცხყოფას. ეს იმედგაცრუება მის შემდგომ ბედსაც განსაზღვრავს. იგი შეიძლება გამორდეს ქმარს, მაგრამ მეორედ ვეღარ გათხოვდეს, რადგან შეიძლება შეეშინდეს ახალი იმედგაცრუების.

ქალის მიმართ ძალადობა, მისი შვილების კეთილდღეობაზეც აისახება, რადგან ძალადობამ ქალს შეიძლება ბავშვებზე ზრუნვის უნარიც დააკარგვინოს ან ქმარზე გაბრაზებულმა ბავშვებზე იყაროს ჯავრი.

ძალადობის შედეგად, ქალი შეიძლება აღარ იყოს ისეთი მზრუნველი დედა, როგორიც ადრე იყო იმიტომ, რომ მას აღარ ეწევა ამის ნერვები და აღარც თავი. ამდენად, ბავშვები იჩაგრებიან როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა ქალი თელავში, კახეთი).

რესპოდენტთა აზრით, კაცი ხშირად სი-
ამოვნებას იღებს ძალადობისაგან, ყოველ
შემთხვევაში ძალადობის დროს, მერე კი
ხშირად ნანობს. ზოგი ფიქრობს, რომ თუ
ქმარს ცოლი არ უყვარს და ძალადობს
მასზე, ის ერთობა ან საერთოდ არ
ენადვლება რას გრძნობს ცოლი. ხშირია
შემთხვევები, როდესაც ძალადობის შემ-
დეგ მოძალადე თავს ძალიან ცუდად
გრძნობს და ბოდიშებს იხდის.

ოჯახში ძალადობას ძალზე უარყოფითი
შედეგი აქვს თვითმხილველი ბავშვის
ფსიქიკაზე, რაც დისკუსიის მონაწილეთა
აზრით, როდესმე აუცილებლად გამოვლი-
ნდება.

*ძალადობა ილექება მცირეწლოვანი
ბავშვის ცნობიერებაშიც კი და აუცილე-
ბლად გამოვლინდება ზრდასრულო-
ბაში (დისკუსიის მონაწილე ქალი თბი-
ლისში).*

ძალადობის ბავშვებზე ზეგავლენასთან და-
კავშირებით, თელავში ჯგუფის მონაწილემ
შემდეგი შემთხვევა გაიხსენა:

*ბავშვებს ვთხოვეთ დაედგათ რაღაც
სოციალური სცენა, თეატრის მსგავსი.
ნაფარეულის ბავშვებს უნდა დაეწერეთ
სცენარი. ეს იყო აბსოლუტურად ამ
ბავშვების ხედვა. სცენარი ასეთი იყო:
მთვრალი კაცი ძალადობს ცოლზე და
შვილზე, შემოდის მეზობლის ქალი
ნათელა, რომელსაც ყელში ამოუვიდა ამ
ქალის წივილ-კივილი და ეუბნება, რომ
ჩემთან წამოდიო, რამეს გიშველიო. ეს
ქალი, ძალადობის მსხვერპლი ეუბნება-
ნათელა, შენი საქმე არ არის, ეს ჩემი
და ჩემი ქმრის საქმეა და ნუ ერევი!
ბავშვი ვეღარ უძლებს ამას და მიდის
ქუჩაში. ასეთი იყო ბავშვების თვალით
დანახული სინამდვილე.*

მონაწილეთა განცხადებით, მიერ ოჯახში
ძალადობის ნახვა ძალადობას პერმანე-
ნტულ, უწყვეტ ხასიათს ანიჭებს. მშობლები
შვილებისათვის მოდელს წარმოადგენენ,
რომელსაც ისინი ბაძავენ.

*ბავშვი, რომელიც უყურებს ძალადობას,
თვითონაც ხდება ოჯახში ძალადობის
მსხვერპლი. ისიც უნდა გახდეს მშობელი
და თუ მშობელი დღეს არ იქნება
მისთვის ეტალონი და არ აჩვენებს
უსაფრთხო გარემოს, დიდი ალბათობაა
იმისა, რომ მან იგივე გარემო შეუქმნას
თავის შვილებს (დისკუსიის მონაწილე
ქალი ორსანტიაში, სამეგრელო).*

*ყველა გოგო დედას ბაძავს, ყველა ბიჭი
- მამას ნებისმიერ ასაკში. მე დღესაც
ვბაძავ ჩემს დედას რაღაცეებში და
ვთქვამ, თუ ბიჭი გაიზრდება მოძალადე
მამის ხელში, ის აუცილებლად მო-
ძალადე იქნება. თუ გოგოა და ხედავს,
რომ დედამისი ძალადობს ბებიასზე,
რაღაც პრობლემებია, აუცილებლად
იგივეს გაიმეორებს დედამთილთან
(დისკუსიის მონაწილე ქალი ორსანტი-
აში, სამეგრელო).*

თელავში დისკუსიის მონაწილე ქალების
აზრით, ძალადობის ყურება ზეგავლენას
ახდენს, როგორც ბიჭზე ისე გოგოზე. ბიჭი
მოძალადე იზრდება, გოგო კი მსხვერპლი.

*გოგო თუ უყურებს ძალადობას, იზრდება
დედისნაირი, მონა ქვია ამას, თუ არ
ვიცი რა ქვია. დედა მას ასწავლის:
„მოითმინე შვილო, აი უყურე მე როგორ
ვითმენ“, მაგალითად აძლევს თავის
თავს: “შენ გგონია მე არ მინდოდა
მეგობრებთან წასვლა? მაგრამ ვითმენ,”
რატომ? ვითხვა რომ ჩნდება - რატომ?
მაშინ გეტყვის, სიმშვიდე, რომ გყონდეს
(დისკუსიის ქალი მონაწილე თელავში,
კახეთი).*

ძალადობის თვითმხილველი ბავშვი გარიყული ხდება მშობლებისა და საზოგადოებისაგან. იგი თავის თავში იკეტება, არაფერს ამბობს, ცდილობს რაც შეიძლება ცოტა ხანი იყოს სახლში, იკარგება მშობლებთან ურთიერთობის გზა.

ჩემს ოჯახში ძალადობის შემთხვევაშივე პირადად ჩემს თანატოლთან და ჩემს მეგობართან არ მივალ და მათ არაფერს ვეტყვი (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცი თელავში, კახეთი).

მიდრეკილი ხდება ნარკოტიკებისადმი, ნერვიული შეტევებისადმი. ბავშვი გარეთაც ყველაფერს უთმობს სხვებს იმიტომ, რომ ეშინია. ბევრი მიდრეკილი ხდება კრიმინალისკენ. ძალადობის ხილვა აქვეითებს ბავშვის აკადემიურ და შემეცნებით უნარებს.

დისკუსიის მონაწილე ქალის აზრით, ქალი, რომელზეც ძალადობენ, ვერ აღზრდის ჯანმრთელ შთამომავლობას. საბოლოო ჯამში, ძალადობისაგან წაგებული მთლიანად საზოგადოება იქნება.

1.4. ოჯახში ძალადობაზე რეაგირების გზები

განქორწინება

ყველაზე ხშირად ძალადობაზე ადეკვატურ რეაქციად ცოლ-ქმრის დაშორებას ასახელებდნენ.

არ უნდა ჩააფურთხო ქალმა საკუთარ სულში და რაც დასანგრევია, ის უნდა დაანგრეო. არ უნდა მოითმინო (დისკუსიის მონაწილე ქალი მესტიაში, ზემო სვანეთი)

თუ ქმარი ერთხელ აიღებს ცოლზე ხელს, მე ვთვლი, რომ ის მოძალადეა. მასთან ცხოვრება კატეგორიულად და-

უშვებელია. ჩემი შვილი რომ მოხვდეს მსგავს სიტუაციაში ვურჩევდი, რომ სახლში დაბრუნდეს, ან სხვაგან წავიდეს საცხოვრებლად (დისკუსიის მონაწილე ქალი ორსანტიაში, სამეგრელო).

დისკუსიის ბევრმა მონაწილემ გამოთქვა თავის უარყოფითი დამოკიდებულება იმ ქალების მიმართ, რომლებიც მოძალადესთან აგრძელებენ ცხოვრებას.

ქალები, რომლებიც მოძალადე ქმრებთან აგრძელებენ ცხოვრებას, პატივისცემას არ იმსახურებენ. ისინი სავარაუდოდ მაზოხისტები არიან (დისკუსიის მონაწილე ქალი თბილისში).

მონაწილეებმა მიუთითეს, რომ ბევრი ქალი ძალადობის მიუხედავად აგრძელებს ქმართან ცხოვრებას. ჯგუფის წევრებმა ამის რიგი მიზეზები დაასახელეს:

- სიყვარული. ქალს ისევ უყვარს ქმარი;
- სურვილი, რომ ბავშვებს სახლში ყავდეთ მამა;

ძალადობის ხილვა უფრო მეტ სტრესს აყენებს ბავშვს, ვიდრე ცოლ-ქმრის დაშორება, მაგრამ ამას ბევრი არ აცნობიერებს და ცდილობს ოჯახის შენარჩუნებას მაშინ, როდესაც ძალადობა ანგრევს ბავშვის ფსიქიკას (დისკუსიის მონაწილე ქალი მესტიაში, ზემო სვანეთი);

- სახელის გატეხვა. თელავში დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცის აზრით, გამორეულ ქალს ცუდი სახელი აქვს, იგი სხვა კაცებისათვის ხელმისაწვდომად აღიქმება;
- მოთმენის ნორმა. ბევრს მიაჩნია, რომ ქალმა ყველაფერი უნდა მოითმინოს.

დედა ბავშვობიდანვე ეუბნება ქალი-შვილს - როგორც ქმარი ვეტყვის, ისე უნდა მოიქცე. შენ ჩაბარდი პატრონს (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა ქალი თბილისში).

- საზოგადოებრივი აზრი;
- წასასვლელის არქონა;

ბევრს სახლი არ აქვს, ან ოჯახი არ იღებს ან დედ-მამის სახლში ძმა ცხოვრობს და იქ ვერ მივა (დისკუსიის მონაწილე ქალი თელავში, კახეთი).

ჯგუფის წევრმა თელავიდან მოიყვანა თავის მეზობლის მაგალითი, რომელსაც ქმარი სცემს, მაგრამ ის მაინც ვერ ტოვებს მას:

არ შემიძლია, მე ვერ წავალ ჩემებთანო. მოტყუებით, ჩემად არის გამოპარული სახლიდან. ტელეფონით გაიცნო ქმარი და ჩამოვიდა აქ. ვერ დავბრუნდები, აქ რომ მომკლას და დამასაფლავოს მაინც, რადგან მშობლები უკან არ მიმიღებენო (დისკუსიის მონაწილე ქალი თელავში, კახეთი).

- ეკონომიკური პრობლემები - ბევრი ქალი ეკონომიკურად სრულად დამოკიდებულია თავის ქმარსა და მის ოჯახზე. ამდენად, განქორწინება მისთვის და მისი შვილებისთვის სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება

პოლიციისთვის მიმართვა

დისკუსიის მონაწილეთა ნაწილს ძალადობის შემთხვევაში აუცილებლად მიაჩნია პოლიციის გამოძახება. თუმცა, ბევრი მონაწილე საწინააღმდეგოს ფიქრობს და თვლის, რომ ქალმა არ უნდა გამოიძახოს პატრული, რადგან ეს სირცხვილია.

პატრულის გამოძახება პირადად შენი სირცხვილია იმიტომ, რომ თავს აცე-

მინებ, ე.ი. იმ პატრულის გამოძახების ღირსიც არ ხარ. ისევ შენ ხარ დამნაშავე. პატრული მოდის და იცინის, ასე დასაცინად არ უნდა გაიხადო საქმე (ჯგუფის მონაწილე ქალი თბილისში).

ბევრს პოლიციის გამოძახება არ მიაჩნია გამოსავლად იმიტომ, რომ პატრულის წასვლის შემდეგ ქმარი გააგრძელებს ცემას.

ხშირად პატრული რომ წავა, ქმარი კიდევ უფრო მეტად სცემს - რატომ გამოიძახეო. (ჯგუფის მონაწილე ქალი თბილისში).

იგივე შეიძლება განმეორდეს, თუ კაცს დააპატიმრებენ.

შეიძლება ჩასვან კაცი, მაგრამ გამოვა და იგივეს გააგრძელებს (ჯგუფის მონაწილე ქალი მესტიაში, ზემო სვანეთი).

მონაწილეთა განცხადებით, არის შემთხვევები, როდესაც ქალი სასონარკვეთილებით იძახებს პატრულს, მაგრამ მერე ქმარი ეცოდება და ამბობს, რომ არ არის ნაცემი.

საზოგადოების ჩარევა

ბევრი ფიქრობს, რომ ძალადობის შემთხვევაში აუცილებელია საზოგადოება ჩაერიოს ცოლ-ქმრის ურთიერთობაში. თუმცა, ამის ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობს:

- მსხვერპლი მალავს ძალადობის ფაქტს;

ძალადობის მსხვერპლი გარეთ რომ გამოდის ნიღაბს ირგებს, ვითომ არაფერი ხდება (ჯგუფის მონაწილე კაცი თელავში, კახეთი).

- მსხვერპლი დახმარებაზე უარს ამბობს;

მოვიერთ შემთხვევაში ქალი მიჩვეულია ძალადობას და სხვანაირად ცხოვრება

მისთვის წარმოდგენილია. მიჩვეულია იმ ადამიანისგან ცემას და ასეთ საქციელს. მისთვის წარმოდგენილია სხვაგან წასვლა და თუნდაც გაშორება (დისკუსიის მონაწილე ქალი ორსანტიაში, სამეგრელო).

- **მესამე პირმა არ იცის, თუ რა ხდება ოჯახში რეალურად;**

ოჯახი დახურულია და არავინ იცის იქ სინამდვილეში რა ხდება (დისკუსიის მონაწილე კაცი მესტიაში, ზემო სვანეთი).

- **ადამიანმა არ იცის რა უნდა გააკეთოს.**

მე თვითონ არ ვიცი, როგორ ჩავერიო ძალადობის შემთხვევაში, რა ვუთხრა, რა კუთხით მივედგე, მეც რომ არ მომაცნონ შეურაცხყოფა. ორი რომ ჩუბობს, გამშვებელელსაც მოხვდებაო. ანუ, მე თვითონაც არ ვიცი რა ვუთხრა. ვერ დავუძახებ: „კარგი ბიჭო, დანყნარდი, რა მოგივიდა?“ (დისკუსიის მონაწილე კაცი თელავში, კახეთი).

1.5. ოჯახში ძალადობის პრევენციის საშუალებები

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყველაფრის საფუძველი აღზრდაა, იქნება ეს ოჯახში თუ სასწავლო დაწესებულებაში. ამდენად, ძალადობის აღმოფხვრა ყველაზე მეტად სწორი აღზრდით არის შესაძლებელი.

დიკუსიის მონაწილეები ფიქრობენ, რომ მშობლები შვილებს უნდა ელაპარაკონ ძალადობაზე და მის შედეგებზე.

სკოლებში საათები უნდა დაეთმოს ძალადობის და ასევე ზოგადად თანასწორობის შესახებ საუბრებს.

თუ ჩვენ გვეცოდინება თანასწორუფლებიანობა, თუ გვეცოდინება ვის როგორ უნდა მოვექცეთ, ვის წინაშე ვართ ვალდებული, მაშინ ასეთი რაღაცე-

ები ნაკლებად იქნება. როცა მე ვიცი ჩემი უფლებები, მე არ მივცემ ადამიანს უფლებას, რომ ძალადობაზე წამოვიდეს (დისკუსიის მონაწილე ქალი ორსანტიაში, სამეგრელო).

მონაწილეთა აზრით, ძალადობასთან დავაპირებით განათლების მიცემა აუცილებელია არა მხოლოდ ბავშვებისთვის, არამედ მოზრდილებისთვისაც, ტრენინგების სახით. ეს უნდა მოხდეს დადებითი გზავნილების მეშვეობით - “არ მინდა ომი, არამედ მშვიდობა მინდა”, როგორც ქალბთან ასევე კაცებთან, მათ სამუშაო ადგილებზე.

მშობლებისათვის საჭიროა ბავშვის აღზრდის შესახებ სწავლება. ბავშვებისადმი ძალადობა განხილვის საკითხი უნდა გახდეს.

რელიგია

დისკუსიის მონაწილეების თანახმად, ეკლესიის როლი და მისი პოტენციური ოჯახში ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის პრევენციის საქმეში უმაღლესია, თუმცა ჯერ გამოუყენებელი.

შეიძლება ჩაერთოს რელიგია ამ მიმართულებით. ჩემი აზრით, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სასულიერო პირების სიტყვა უფრო ბევრს ნიშნავს (დისკუსიის მონაწილე ქალი მესტიაში, ზემო სვანეთი).

რელიგია მეტ-ნაკლებად ცვლის ადამიანს. თუმცა, იგი მთლიანად ვერ გამოასწორებს სიტუაციას (დისკუსიის მონაწილე ქალი თელავში, კახეთი).

ორსანტიაში ახალგაზრდა კაცმა აღნიშნა, რომ თუ ადამიანი მართლმადიდებელი მორალით ცხოვრობს, ის არასდროს იძალადებს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ბავშვი ადრეული ასაკიდან წავიყვანოთ ტაძარში, რომ იქ ისწავლოს ურთიერთმორჩილება და პატივისცემა, სხვისი აზრის გათვალისწინება.

რჩევის მიღება და კონსულტაცია

თელავში ახალგაზრდა კაცმა აღნიშნა, რომ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალადობასთან დაკავშირებით ისურვებდა რჩევის მიღებას უფროსი ადამიანისაგან.

უფროსი ადამიანის რჩევა ახალგაზრდას უნდა დაეხმაროს იმაში, რომ თავისი მშობლები გააშველოს, რომ მათ აღარ იჩხუბონ. მაგრამ, ეს უფრო მას უნდა დაეხმაროს, რომ უფრო მარტივად გადაიტანოს ეს ტრავმა (დისკუსიის მონაწილე ახალგაზრდა კაცი თელავში, კახეთი).

მსხვერპლმა ახლობელ ადამიანს უნდა გაუზიაროს თავისი ტკივილი.

დისკუსიის მონაწილეებს საჭიროდ მიაჩნიათ ფსიქოლოგის ან/და ფსიქიატრის დახმარება. უნდა გაიზარდოს ქალების თვითშეფასება და მათ უნდა ისარგებლონ დახმარებით კარიერული წინსვლისათვის. ფსიქოლოგის დახმარება არის საჭირო იმისთვისაც, რომ ქალმა დაიცვას თავის უფლებები. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, მსხვერპლებისათვის უნდა არსებობდეს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის დაწესებულებები. თუ ნასვამი კაცი ჩაიდენს ძალადობრივ ქმედებას და შემდეგ ნანობს, მასაც უნდა გაენიოს დახმარება.

დისკუსიის მონაწილე ქალები თელავში მიიჩნევენ, რომ საჭიროა ბავშვებმა ისაუბრონ ფსიქოლოგთან იმისათვის, რომ გერკვნენ თავის გრძნობებში.

ცნობიერების ამაღლება მედიასაშუალებებით

ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება. მათი აზრით, განსაკუთრებული ფორმები უნდა გამოინახოს იმ ქალებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, რომლებიც არ მუშაობენ და უმეტეს დროს შინ ატარებენ. ეს შეიძლება იყოს ბროშურები, საინფორმაციო ბუკლეტები, გადაცემები, გასვლითი შეხვედრები ან მობილური ჯგუფების ვიზიტები. არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად უნდა ჩაერთონ ამ პროცესში.

აღნიშნა, რომ მეტი ინფორმაციის მიწოდება საჭირო ქალებისათვის მათი უფლებების შესახებ და იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გააკეთონ ძალადობის შემთხვევაში. ტელევიზიით უნდა გავიდეს გადაცემები ოჯახში ძალადობაზე, იმისათვის რომ კაცებმაც ნახონ ეს გადაცემები.

რესურსების

მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ნაკლებად ძალადობენ იმ ქალებზე, რომლებსაც გარკვეული რესურსები გააჩნიათ, ვისაც მაგალითად დამცველის სახით მამა, ან ძმა ყავს. დისკუსიის მონაწილეებმა მიუთითეს, რომ ბევრი ქმარი კარგად იქცევა იმიტომ, რომ მამის ან ძმის ემინია.

ახლა კი არიან კარგი ქმრები იმიტომ, რომ ცოლებს ფინანსურად, მატერიალურად ძლიერი მამები და ძმები ყავთ (დისკუსიის მონაწილე ქალი თელავში, კახეთი).

ახალგაზრდა კაცის აზრით, კაცს უნდა ემინოდეს, რომ ძალადობის გამო ცოლს, სახლს ან ქონებას დაკარგავს.

ქალების განათლება, თავისი უფლებების ცოდნა, ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს და სავარაუდოდ, ქალების ამ მიმართულებით გაძლიერება შეამცირებს მათ მიმართ ძალადობას. განათლება ქალებს მისცემს საშუალებას უფრო დამოუკიდებლად გახდნენ, არ შეეშინდეთ ქმრის დატოვების, უფრო ადვილად იპოვონ სამსახური. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ნაადრევი გათხოვება, რადგან ამ დროს იზღუდება ქალის შესაძლებლობა მიიღოს სათანადო განათლება.

აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ეკონომიკური რესურსების ქონა. ამ რესურსის გაზრდისთვის საჭიროა პროფესიული გადამზადების კურსების ამოქმედება, რაც ქალებს დასაქმების საშუალებას მისცემს.

თვითმმართველობა და პოლიცია

დისკუსიისას გამოითქვა მოსაზრება, რომ სოფლის თვითმმართველობას უფრო დიდი როლი უნდა დაეკისროს ოჯახური პრობლემების მოგვარებაში. ჯგუფის წევრების აზრით, კონფლიქტი ასევე შეუძლია დაარეგულიროს უბნის ინსპექტორმა.

ქალის ქცევა და პარტნიორის სწორად შერჩევა

ზოგიერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია დაქორწინებამდე ქალი კარგად იცნობდეს მეუღლეს.

არ უნდა იყოს ქორწილი შემთხვევითი. ხან ერთმა უნდა დათმოს, ხან მეორემ და ეს უნდა იყოს დაბალანსებული (დისკუსიის მონაწილე ქალი ორსანტი-აში, სამეგრელო).

ქალმა წესიერი კაცი უნდა შეარჩიოს ქმრად. თუმცა ბევრი მონაწილე არ დაეთანხმა ამ

მოსაზრებას იმ გაგებით, რომ ხშირად შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება, თუ ვინ იქნება მოძალადე.

გამოითქვა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ქალის ქცევა ბევრ შემთხვევაში განაპირობებს მასზე ძალადობას. დისკუსიის მონაწილეთა გარკვეული ნაწილის აზრით, ქალს სიფრთხილე მართებს, რომ ქმარი არ გააღიზიანოს.

უნდა იცოდეს მისი ხასიათი და არ უნდა ააფეთქო, უბრალოდ არ უნდა უჩივიდეს, რომ აფეთქდეს (დისკუსიის მონაწილე ქალი ორსანტი-აში, სამეგრელო).

საზოგადოების მიერ მოძალადის

გაკიცხვა

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საზოგადოების როლს ძალადობის დაძლევაში. უმრავლესობის აზრით, საზოგადოება შემწყნარებელია ძალადობის მიმართ მაშინ, როდესაც მან უნდა გაკიცხოს მოძალადე. კაცი მოძალადის გვერდით არ უნდა დაჯდეს და მასთან ერთად არ უნდა დალიოს, არამედ უნდა ურჩიოს მას, რომ ასე არ მოექცეს.

1.6. შეჯამება

დისკუსიების პროცესში გამოიკვეთა, რომ მოქალაქეები ოჯახში ძალადობას და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობას სერიოზულ და საკმაოდ გავრცელებულ პრობლემად აღიქვამენ თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში. ეს ეხება ისე, როგორც ძალადობას ქალების, ბავშვების მიმართ.

ოჯახში ძალადობა აღქმულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და უთანასწორობის გამოვლინება. განხილული და შეფასებული იქნა ძალადობის სხვადასხვა ფორმები - ფიზიკური, ფსიქო-

ლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონტროლი. ბილწსიტყვაობა და სიტყვიერი შეურაცხყოფა აღქმულ იყო, როგორც ძალადობის საწყისი ეტაპი, რომელიც ხშირად გადაიზრდება ფიზიკურ ძალადობაში. აღინიშნა, რომ ქალებს და კაცებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ოჯახში ძალადობის მიმართ. ბევრ კაცს ოჯახში ძალადობა გამართლებულად მიაჩნია და მასში ქალს ადანაშაულებს.

აღინიშნა ძალადობის უწყვეტი ხასიათი. იმ ოჯახში გაზრდილი ბავშვი, სადაც ძალადობას აქვს ადგილი, თვითონაც მოძალადე ან ძალადობის მსხვერპლი ხდება.

განხილული იქნა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საშუალებები: ცოლ-ქმრის დაშორება, პოლიციისთვის მიმართვა და საზოგადოების მიერ მოძალადის გაკიცხვა. ამასთან, ჩამოთვლილი იქნა ძალადობის პრევენციის მექანიზმები: აღზრდა, ინფორმირება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ქალის გაძლი-

ერება, ფსიქოლოგიური დახმარება და პრევენციის პროცესში ეკლესიის ჩართვა. ბევრ შემთხვევაში მონაწილეებმა წარმოაჩინეს, რომ პატრიარქალურ ღირებულებებს იზიარებენ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აცხადებდნენ, რომ მამებისა და ძმების სახით ძლიერი დამცველების მყოფი ქალები უკეთ არიან დაცულნი ძალადობისაგან. ე.ი. მათი აზრით, უნდა არსებობდეს გარკვეული მამაკაციური ავტორიტეტი ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამასთან, როდესაც მათ განაცხადეს, რომ ქალებს ძალუძთ ძალადობის პრევენცია, თუკი ეცდებიან არ მოახდინონ თავიანთი მეუღლეების „პროვოცირება“ და დამჯერი ცოლის როლს ითამაშებენ. კვლევის თვისობრივმა ნაწილმა აგრეთვე აჩვენა, რომ მოქალაქეები აცნობიერებენ, რომ ძალადობის მიზეზები გენდერულ უთანასწორობასა და აღზრდაში უნდა ვეძიოთ, რომელიც აძლიერებს უთანასწორობას, ეს მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომელზეც უნდა აიგოს ცნობიერების ამაღლების შემდგომი ძალისხმევა და შესაბამისი ინტერვენციები.

2. კვლევის რაოდენობრივი

კომპონენტი

ქვემოთ წარმოდგენილია კვლევის რაოდენობრივი ნაწილის ძირითადი მიგნებები და შედეგები რესპონდენტთა რეგიონალურ, სქესობრივ, ასაკობრივ ჯგუფში და განათლების სტატუსის მიხედვით, თუ განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. შეძლებისდაგვარად, პარალელური გავლებულია ევრობარომეტრისა (Eurobarometer, 2010წ.) და ირლანდიაში ძალადობის მიმართ დამოკიდებულების კვლევის (Cosc, 2010წ.) მიგნებებთან.

2.1. დემოგრაფიული მონაცემები

გამოკითხულთა უმრავლესობას (65.1%) ქალები შეადგენდნენ, ხოლო კაცები შეადგენდნენ 34.9%-ს. ახალგაზრდები (18-30 წელი) ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენდნენ (43.1%). 31-60 წლის პირები შეადგენდნენ გამოკითხულთა 30.7%-ს, 61-80 წლის პირები 24.8%-ს.


რესპოდენტთა 48.8%-მა მიუთითა, რომ იმყოფებოდა ქორწინებაში, 36% იყო დაუქორწინებელი, 11% იყო ქვრივი, 4.1% იყო განქორწინებული. გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (55%) ქონდა საშუალოზე უფრო მაღალი განათლება, საშუალო ან ტექნიკური განათლება ქონდა 42%-ს, ხოლო საბაზო 3%-ს. ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ გამოკითხულთა 95.8%-ს. რესპონდენტთა 97.7%-მა განაცხადა, რომ იყო მართლმადიდებელი, ხოლო 37.9%-მა მიუთითა, რომ ასრულებდა ძირითად რელიგიურ რიტუალებს.

2.2. ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების ხარისხი

უმრავლესობის ეკონომიკური მდგომარეობა არ არის უკიდურესად მძიმე. 76.3%-ს საკვებისა და ტანსაცმლის ყიდვა შეუძლია.

გრაფიკი №1:

რესპონდენტთა ეკონომიკური მდგომარეობა




ოჯახების 69.6%-ში ძირითადი შემომტანი კაცია. განსხვავებულია ქალებისა და კაცების შემოსავლის ოდენობაც. კაცებს ქალებზე დიდი შემოსავალი აქვთ. დაქორწინებული კაცების 43.5%-მა, ხოლო ქალების მხოლოდ 23.2%-მა მიუთითა, რომ მისი შემოსავალი აღემატება მეუღლის შემოსავალს. აქედან, ქალების უფრო დიდი ნაწილი (55.85%) თავის შე-

მოსავალს სურვილისამებრ ხარჯავს, ამას აკეთებს კაცების 45.4%.

ეკონომიკური მდგომარეობა და ჯანმრთელობა მოსახლეობის ყველაზე დიდ საზრუნავს წარმოადგენს. მნიშვნელოვანი განსხვავებები ასაკის, სქესის და რეგიონის მიხედვით არ გამოიკვეთა გამოკითხულთა მიერ მათი მთავარი პრობლემის დასახელებისას.

გრაფიკი №2:

პრობლემები



2.3. გენდერული თანასწორობა

კითხვარის ერთი ბლოკი განკუთვნილი იყო გენდერული თანასწორობის მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულების შესაფასებლად. ამ ბლოკში ერთის გარდა (კითხვა 36 - ცოლის ღალატის შემთხვევაში ქმრის საქციელის შესახებ) ყველა პასუხის განსხვავება რეგიონების მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო.

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (51%) თვლის, რომ საქართველოში ქალები კაცებზე უფრო დაჩაგრულები არიან. 36.2% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დაცულია გენ-

დერული თანასწორობა, ძალიან მცირე ნაწილს (4.7%) მიაჩნია, რომ კაცები უფრო დაჩაგრულები არიან, ხოლო 8.1%-ს არ აქვს ჩამოყალიბებული დამოკიდებულება. საქართველოში გენდერული თანასწორობის არსებობაზე ყველაზე მეტად მიუთითებს სამეგრელო-ზემო სვანეთის (46.1%), ყველაზე ნაკლებად კი კახეთის (24.7%) მოსახლეობა. თბილისის მაცხოვრებელთა 37.6%-ს მიაჩნია, რომ გენდერული თანასწორობა მიღწეულია. ასე ფიქრობენ უფრო მეტად კაცები, 60 წელს გადაცილებული ადამიანები.

გამოკითხულთა უმრავლესობას (67.5%) არ მიაჩნია, რომ კაცს, როგორც წესი, ყველაფერი ქალზე უკეთ გამოსდის. (კაცის უპირატესობაზე მიუთითებს გამოკითხულთა 26%, 6.4%-ს არ აქვს ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია).

გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (42.6%) მიაჩნია, რომ თუ ოჯახს ერთი შვილი უნდა ყავდეს, უმჯობესია ეს ვაჟი იყოს. თუმცა, ასევე დიდია (41.8%) იმ ადამიანთა რაოდენობა, ვისაც გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ვაჟი სასურველად მიაჩნია სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის 56.3%, კახეთის მოსახლეობის 41.8%-ს და თბილისელთა 29.7%-ს.

სამსახურში მიღებისას თანაბარი კვალიფიკაციის შემთხვევაში კაცისათვის უპირატესობის მინიჭების მომხრეა გამოკითხულთა 37.9%, ხოლო 52.4% კანდიდატისათვის სქესის ნიშნით უპირატესობის მინიჭების წინააღმდეგია. 9.8%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. კაცისათვის უპირატესობის მინიჭებას ყველაზე ნაკლები მომხრე თბილისში, ხოლო ყველაზე მეტი სამეგრელო-ზემო სვანეთში ჰყავს.

თანასწორობისადმი დამოკიდებულების ანალიზის გამარტივების მიზნით, ჩვენ სამი – ზოგადად უთანასწორობის, ქონებრივი თანასწორობის და ეკონომიური თანასწორობისა ცვლადებიდან თანასწორობის, ერთი ცვლადი შევქმენით. კაცის უპირატესობის ზემოთ განხილული სამივე შემთხვევის აღიარება (კითხვები 27, 28 და 29. იხ. დანართი 2) ჩვენ უთანასწორობის მკვეთრ გამოხატულებად მივიჩნიეთ.

გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესაფა-

სებლად გამოყენებული შეკითხვების საშუალებით ჩვენს კომბინირებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 12.8% იზიარებს ქალებთან შედარებით კაცების უპირატესობის ექსტრემალურ მოსაზრებას. ყველაზე ნაკლებად კაცს უპირატესობას ანიჭებენ და შესაბამისად არ ეთანხმებიან გენდერულ უთანასწორობას თბილისში (9.4%), შემდეგ კახეთში (11.2%) ხოლო კაცის უპირატესობისა და გენდერულ უთანასწორობას ყველაზე მეტად მომხრეა სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა (17.8%). კაცის უპირატესობას უფრო მეტად აღიარებენ კაცები, ასაკოვანი და საშუალო განათლების მქონე და არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანები.

სამი კითხვა (კითხვები 30, 31 და 32. იხ. დანართი 2) ეხებოდა ვაჟიშვილისა და გაუთხოვარი ქალიშვილის ქონებრივ უფლებებს მშობელთა გარდაცვალების შემთხვევაში. სახლის თანაბრად განაწილების მომხრე იყო გამოკითხულთა 66.6%, მინის 68.4%, სხვა ქონების 76.6%. სიხშირით მეორე პასუხი სამივე შემთხვევაში იყო ვაჟისთვის უფრო დიდი წილის მიცემა. ჩვენს მიერ შექმნილი ქონებრივი თანასწორობის ცვლადის მიხედვით, ქონების მთლიანად ვაჟისთვის გადაცემის მომხრე იყო სულ 6.15%. ყველაზე მეტად ეს მიზანშეწონილად მიაჩნდათ სამეგრელო-ზემო სვანეთში (9.4%), ხოლო ყველაზე ნაკლებად თბილისში (3.6%). ასეთ დამოკიდებულებას იზიარებდა კახეთის მოსახლეობის 5.2%. ქონების ფლობის უპირატესობას კაცებს ანიჭებენ უფრო მეტად კაცები, ასაკოვანი და საშუალო განათლების მქონე ადამიანები.

რესპონდენტები ქალებსა და კაცებს თითქმის ერთნაირ უფლებას ანიჭებენ მეუღლის დაუკითხავად დახარჯონ საკუ-

თარი შემოსავალი. რესპოდენტთა 73.6%-ის აზრით, ამის გაკეთება უნდა შეეძლოს ქალს და 75.5%-ის აზრით კაცს. თბილისსა და კახეთში ქალისა და კაცისათვის თავისუფლების მინიჭებას შორის განსხვავება უმნიშვნელოა, სამეგრელო-ზემო სვანეთში კი უფრო დიდია. ჩვენს მიერ შექმნილი ეკონომიკური თანასწორობის ცვლადის მიხედვით, 80% საკუთარი შემოსავლის მეუღლესთან შეუთანხმებლად ხარჯვის თავისუფლებას ანიჭებს ქალს, ხოლო კაცს - 85.1%. რესპოდენტთა 68.2% აღიარებს ქალთა და კაცთა თანასწორობას შემოსავლის ხარჯვაში, რადგან მიაჩნია, რომ ქალსაც და კაცსაც შეუძლია ფულის შეთანხმების გარეშე ხარჯვა (დათანხმების პასუხების ჯამი კითხვებზე 33 და 34). ქალისა და კაცის საკუთარი შემოსავლის დაუკითხავად ხარჯვის თავისუფლებას უფრო ნაკლებად ანიჭებენ ასაკოვანი და საშუალო განათლების მქონე პირები.

ყველაზე დიდი განსხვავება აღინიშნა ქალებისა და კაცების სქესობრივი ცხოვრების თავისუფლებისადმი დამოკიდებულებაში. 43.8%-ს მიაჩნია, რომ ქალი უნდა გა-

შორდეს ქმარს თუ ქმარი მას ღალატობს მაშინ, როდესაც თითქმის ორჯერ მეტი როლდენობა (81.4%) მიიჩნევს, რომ ქმარი უნდა გამორდეს ცოლს ღალატის შემთხვევაში. ქმრის ღალატის შემთხვევაში გამორების ყველაზე მეტი მომხრე თბილისშია (58.5%), შემდეგ კახეთში (40.3%), ხოლო ყველაზე ცოტა სამეგრელო-ზემო სვანეთში (32.5%). ფაქტიურად საპირისპირო შედეგია ცოლის ღალატის შემთხვევაში. განქორწინება ყველაზე მეტად მართებულია მიაჩნიათ სამეგრელო-ზემო სვანეთში (83.1%), შემდეგ თბილისში (81%) და კახეთში (80%).

რესპოდენტთა 80.9% აზრით, ქორწინებამდე ქალმა უბიწოა უნდა შეინარჩუნოს. ყველაზე მეტად ასე ფიქრობს სამეგრელო - ზემო სვანეთის (91.7%), შემდეგ კახეთის (90.4%) და ყველაზე ნაკლებად თბილისის (60.8%) მოსახლეობა. გამოკითხულთა 10.2%-ს მიაჩნია, რომ იგივე უნდა გააკეთოს კაცმაც. ასე ფიქრობს სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის 11.5%, კახეთის მოსახლეობის 10.4% და თბილისის მოსახლეობის 8.8%.

ცხრილი №1:

თანასწორობა რეგიონალურ ჯრილში

ცვლადი	სულ %	თბილისი %	სამეგრელო-ზემო სვანეთი %	კახეთი %	P
საქართველოში ქალები და კაცები თანასწორები არ არიან, ქალი უფრო დაჩაგრულია	51	45.2	44.1	63.8	<01
კაცისთვის უპირატესობას აღიარებს	12.8	9.4	17.8	11.2	<01
კაცისთვის ქონებრივ უპირატესობას აღიარებს	6.1	3.6	9.4	5.2	<01
საკუთარი შემოსავლის დახარჯვის თავისუფლებას ქალსაც და კაცსაც ანიჭებს	68.2	72.9	77.2	54.5	<01

ცხრილი №2:

თანასწორობა რესპონდენტთა სქესის, ასაკის და განათლების მიხედვით

ცვლადი	სულ %	სქესი			ასაკი				განათლება		
		კაცი %	ქალი %	p	18-30 %	31-60 %	61> %	p	სამუ-ალო %	უმაღ-ლესი %	p
საქართველოში ქალები და კაცები თანასწორები არ არიან, ქალი უფრო დაჩაგრულია	51	39.6	57.1	01	57	46.8	44.6	01	54.4	48.4	არ არის მნიშ.
კაცისთვის უპირატესობას აღიარებს	12.8	23.1	7.3	01	9.4	12	19.9	01	16.2	9.6	<01
კაცისთვის ქონებრივ უპირატესობას აღიარებს	6.1	9.9	4	01	5.9	4.1	9.1	01	7.7	4.8	<01
საკუთარი შემოსავლის დახარჯვის თავისუფლებას ქალსაც და კაცსაც ანიჭებს	68.2	66	69.4	არ არის მნიშ.	73.6	71.1	55.6	01	61	74.3	<01

გენდერული როლები გარკვეულწილად თანასწორობის/უთანასწორობის მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ.


მიღწევებით, მაგრამ მხოლოდ 17.5% ფიქრობს, რომ კაცი სამსახურით ფასობს და არა ოჯახით.

გამოკითხულთა ნახევარი (50.8%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ყველასთვის უკეთესია, როდესაც ქმარი მუშაობს, ცოლი კი ოჯახს უვლის. უმრავლესობა (80.5%) მიიჩნევს, რომ ქმარს ცოლზე მეტი შემოსავალი უნდა ქონდეს. რესპოდენტთა 65.6% ეთანხმება იმ აზრს, რომ ქალი ოჯახით ფასობს და არა სამსახურეობრივი

რესპოდენტთა აზრით, საოჯახო საქმეებში, რომლებსაც ჩვეულებრივ ქალები ასრულებენ, კაცების წვლილი მნიშვნელოვანი უნდა იყოს გადასახადების გადახდის, საჭირო ნივთების ყიდვის, ასევე ბავშვის გართობისა და სასწავლებელში ტარების საქმეში, თუმცა არა ჭურჭლის რეცხვის, დალაგების ან ბავშვების მოვლის საქმეში.

გრაფიკი №3:

კაცების მონაწილეობა საოჯახო საქმეებში



ქალებსა და კაცებს შორის საოჯახო საქმეებში კაცების წვლილთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად არსებობს შეთანხმება. ჩამოთვლილი 11-დან მხოლოდ სამ საქმეში აღინიშნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება, ესენია: საჭირო ნივთების ყიდვა, გადასახადების გადახდა და მცირეწლოვანი ბავშვის მოვლა. ყველა ამ შემთხვევაში, ქალების უფრო დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კაცების წვლილი საოჯახო საქმეებში უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

2.4. ოჯახში ძალადობის გავრცელება

გამოკითხულთა 77.8%-ს ოჯახში ძალადობა ძალზე ან საკმაოდ ხშირ მოვლენად მიაჩნია. წინამდებარე კვლევაში ძალადობის გავრცელების შეფასება ევრობარომეტრის შედეგების მსგავსი აღმოჩნდა. ევრობარომეტრის თანახმად, ძალადობა ძალზე ან საკმაოდ გავრცელებულად მიაჩნია რესპოდენტთა 78%-ს (Eurobarometer, 2010წ.). ირლანდიაში

ჩატარებული ძალადობის კვლევის შედეგების მიხედვით კი - ძალადობა გავრცელებულად 70%-ს მიაჩნია (COSC, 2008წ.).

მნიშვნელოვანია განსხვავება რეგიონებს შორის (Chi-Square 76.7:df6;p<01). ოჯახში ძალადობა ყველაზე მეტად გავრცელებულად მიაჩნიათ კახეთში (81.6%), შემდეგ თბილისში (81.1%) და ყველაზე ნაკლებად სამეგრელო - ზემო სვანეთში (70.6%). განსხვავება ასევე აღინიშნება სქესებს შორის (Chi-Square 44.2:df3;p<01). კაცებთან (69.1%) შედარებით, ქალების უფრო დიდ ნაწილს (82.5%) მიაჩნია ძალადობა გავრცელებულად.


რესპოდენტთა 9.6% აქვს გარკვეული შიში იმისა, რომ მისი ახლობელი ან მეგობარი შეიძლება ძალადობის მსხვერპლი გახდეს. ყველაზე მეტად ამის შიში კახეთის (41.5%), შემდეგ სამეგრელო - ზემო სვანეთის (25.5%) და ყველაზე ნაკლებად თბილისის მაცხოვრებლებს აქვთ (23%,

Chi-Square 58.70df4;p<01). განსხვავება ასევე აღინიშნება სქესებს შორის (Chi-Square 10.8:df2;p<05). კაცებთან შე-

დარებით (25%), ქალების უფრო დიდ ნაწილს (32.7%) აქვს ძალადობის შიში.

გრაფიკი №4:

ოჯახში ძალადობის გავრცელება რეგიონების მიხედვით




ძალადობის გავრცელების არაპირდაპირ მაჩვენებელს წარმოადგენს ის, თუ რესპონდენტთა რა ნაწილი იცნობს პირადად მოძალადეს ან ძალადობის მსხვერპლს. უფრო მეტმა რესპონდენტმა მიუთითა, რომ იცნობს მსხვერპლს (66.8%), ვიდრე მოძალადეს (56.3). განსხვავება მნიშვნელოვანი იყო რეგიონების მიხედვით. ყველაზე ნაკლებად, როგორც მოძალადეს ასევე ძალადობის მსხვერპლს იცნობდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მაცხოვრებლები. რესპოდენტთა 73.3%

თბილისში, 55.1% სამეგრელო-ზემო სვანეთში და 71.9% კახეთში იცნობდა ძალადობის მსხვერპლს. მოძალადეს იცნობდა თბილისში 65.3%, 46.3% სამეგრელო - ზემო სვანეთში და 57.1% კახეთში. ქალები კაცებზე უფრო მეტად იცნობდნენ, როგორც ძალადობის მსხვერპლს, ასევე მოძალადეს. **კაცების 72.1% და ქალების 77.1% იცნობდა მსხვერპლს, ხოლო მოძალადეს იცნობდა კაცების 45.3% და ქალების 62.1%.**


გრაფიკი №5:

ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის ნაცნობობა რეგიონების მიხედვით



გრაფიკი №6:

ძალადობის მსხვერპლისა და მოძალადის ნაცნობობა რესპონდენტის სქესის მიხედვით




მსხვერპლი რესპონდენტთა 6.2%-ის ოჯახის წევრი ან მეგობარი, 11.3%-ის ახლობელი, 5%-ის თანამშრომელი ან ჯგუფელი, 17.1%-ის მეზობელი, 28.1%-ის ნაცნობი იყო.

მოძალადე რესპონდენტთა 4.8%-ის ოჯახის წევრი ან მეგობარი, 8.1%-ის ახლობელი, 3.7%-ის თანამშრომელი ან ჯგუფელი, 15%-ის მეზობელი და 25.4%-ის ნაცნობი იყო.


გრაფიკი №7:

კავშირი ძალადობის მსხვერპლთან (კვლევისა და ევრობარომეტრის მონაცემთა შედარება)



გრაფიკი №8:

კავშირი მოძალადესთან (კვლევისა და ევრობარომეტრის მონაცემთა შედარება)



ნახ. 7 და 8 გვიჩვენებს, რომ ევრობარომეტრის რესპოდენტთათვის მსხვერპლები, ასევე მოძალადეები უფრო ხშირად იყვნენ მეგობრები, მეზობლები და თანამშრომლები (Eurobarometer, 2010წ.). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ევრობარომეტრისაგან განსხვავებით, ჩვენს გამოკვლევაში რესპოდენტებს შეეძლოთ კიდევ ერთი კატეგორიის – ნაცნობის აღნიშვნა. 28.1%-მა მიუთითა, რომ მსხვერპლი, ხოლო 25.4%-მა, რომ მოძალადე იყო მისი ნაცნობი.

ირლანდიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით (COSC, 2008წ.), რესპოდენტების

36%-ს მსხვერპლთან მეგობრობა აკავშირებდა, ხოლო 28%-მა მიუთითა, რომ მსხვერპლი მისი ოჯახის წევრი იყო.


კალიფორნიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით კი - მსხვერპლი მოსახლეობის 66%-ისთვის მეგობარი ან ოჯახის წევრი იყო (Tulchin, 2012წ.).

2.5. ოჯახში ძალადობის გაცემა

ოჯახში ძალადობა გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის ცემა, შემდეგ დაშინება და კონტროლი, სქესობრივი კავშირის იძულება და ყველაზე ნაკლებად სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაჩნია.

გრაფიკი №9:

ოჯახში ძალადობის აღქმა




რეგიონებს შორის განსხვავება ძალადობის აღქმის მიხედვით უმნიშვნელოა. აღქმის განსხვავება გამოიკვეთა რესპოდენტთა განათლების მიხედვით. ქვემოთ ჩამო-

თვლილი ოთხივე შემთხვევა ძალადობად უფრო მეტად უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტებს მიაჩნიათ.

გრაფიკი №10:

ოჯახში ძალადობის აღქმა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების მიერ.




რესპონდენტებმა ძალადობის 7 სახე შეაფასეს სიმძიმის მიხედვით. ცემა, სექსუალური ძალადობა და ურთიერთობების

შეზღუდვა ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმებად არის აღქმული.

გრაფიკი №11:

ოჯახში ძალადობის სიმძიმე ვერობარომეტრისა და კვლევის მიხედვით




ნახ.11 გვიჩვენებს, რომ ევრობარომეტრის რესპოდენტები უფრო ნაკლებად აძლევენ უკიდურეს შეფასებებს ძალადობის ყველა ჩამოთვლილ ფორმას (Eurobarometer, 2010წ.). თუმცა, სიმძიმის მიხედვით მათი შეფასება მსგავსია.

ძალადობის ფორმების სიმძიმის შეფასებაში განსხვავება აღინიშნა როგორც რეგიონის, ასევე განათლების, სქესისა და ასაკის მიხედვით. ძალადობის ყველა ფორმას ქალები კაცებზე უფრო მეტად სერიოზულად აღიქვამენ.

გრაფიკი №12:

ოჯახში ძალადობის სიმძიმის აღქმა ქალებისა და კაცების მიერ




ძალადობის ყველა სახეს (გარდა სიტყვიერი შეურაცხყოფისა, რომელსაც ყველაზე მწვავედ ახალგაზრდები აღიქვამენ) ყველაზე უარყოფითად აღიქვამენ 31-60 წლის ასაკის პირები, ხოლო ყველაზე ნაკლებად მწვავედ 60 წელს გადაცილებული რესპოდენტები. ძალადობით დამუქრებას, ურთიერთობების შეზღუდვას, სახლიდან გასვლის შეზღუდვას ძალადობად მიიჩნევენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მაცხოვრებლები. ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას ყველაზე ნაკლებ სერიოზულად კახეთის მაცხოვრებლები, ხოლო ფსიქოლოგიურ ძალადობას თბილისის მაცხოვრებლები მიიჩნევენ. უმა-

ღლესი განათლების მქონე პირები ძალადობის ყველა სახეს მიიჩნევენ უფრო სერიოზულად, ვიდრე საშუალო განათლების მქონე პირები.

გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილისათვის (57.1%) ოჯახში ძალადობა მიუღებელია და ყოველთვის კანონით უნდა დაისაჯოს. კვლევის რესპოდენტებთან შედარებით, ევრობარომეტრის რესპოდენტთა უფრო დიდი ნაწილი, კერძოდ 84% ფიქრობს ასე (Eurobarometer, 2010წ.). ირლანდიელი რესპოდენტების 97%-ის აზრით, ძალადობა დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს (COSC, 2010წ.).

გრაფიკი №13:

ოჯახში ძალადობისადმი დამოკიდებულება



რესპონდენტთა დამოკიდებულება განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონებში. ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთის (61.8%), შემდეგ თბილისის (55.2%) და ყველაზე ნაკლებად კახეთის (54.3%) მოსახლეობა (Chi-Square 38.5;df4;p<01) ფიქრობს, რომ ძალადობა ყოველთვის უნდა დაისაჯოს კანონით.

ძალადობა უფრო მეტად მიუღებელია ქალებისათვის (60.7%), ვიდრე კაცებისათვის (50.4%) (Chi-Square 15.8;df8;p<05) და უფრო მეტად 30 წლამდე (62%), ხოლო ყველაზე ნაკლებად 60 წელს ზემოთ (48.4%) ადამიანებისათვის.

ძალადობა მიუღებელია 31-60 წლის რესპონდენტთა 56.6%-თვის (Chi-Square 25.3;df48p<01).

განათლება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ძალადობისადმი დამოკიდებულებას. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო ნაკლებ ტოლერანტულები არიან ძალადობისადმი (59.9%), ვიდრე საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები (53.8%) (Chi-Square 19.2;df4;p<01).


რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ ორიდან აერჩიათ ერთი პასუხი - ცოლის ცემა კანონით უნდა დასჯილიყო, თუ ის ოჯახის კერძო საქმეს წარმოადგენდა. რესპონდენტთა 68.9% აზრით, ქმრის მიერ ცოლის ცემა დანაშაულია, რაზეც ქმარმა კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი.

განსხვავება დამოკიდებულებების მიხედვით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რეგიონის, რესპონდენტთა სქესის, ასაკის და განათლების მიხედვით.

ცოლის ცემა დანაშაულად ყველზე მეტად კახეთის (72.1%), შემდეგ თბილისის (71.9%) და ყველაზე ნაკლებად სამეგრელო-ზემო სვანეთის (62.6%) მოსახლეობას მიაჩნია (Chi-Square 18.9;df4;p<01).

გრაფიკი №14:

ცოლის ცემის ფაქტის შეფასება რეგიონების მიხედვით




ცემას დანაშაულად უფრო მეტად ქალები (73.3%), მიიჩნევენ ვიდრე კაცები (60.5%) (Chi-Square 40.4;df2;p<01) და ასევე ყველაზე მეტად 30 წლამდე, (73.1%), ხოლო ყველაზე ნაკლებად 60 წელს გადაცილებული ადამიანები (62.1%). ასე ფიქრობს 31-60 წლის რესპონდენტთა 68.9% (Chi-Square 13.7;df4;p<5). უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო ნაკლებად ტოლერანტულები არიან ძალადობისადმი (59.9%), ვიდრე საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები (53.8%) (Chi-Square 19.2;df4;p<01).

2.6. ოჯახში ძალადობის მიზეზები

კითხვარში იყო კითხვა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო 5 შესაძლო მიზეზი, რის გამოც შეიძლება გამართლებული იყოს ქმრის მიერ ცოლის ცემა. ეს არის სტანდარტული კითხვა, რომელზეც მონაცემები 26 ქვეყანაში (Pierotti, 2013წ.) არის შეგროვებული. კვლევაში ცოლის ცემა ყველაზე მეტად გამართლებულად მიაჩნდათ იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ყურადღებას არ აქცევდა ბავშვებს, ხოლო ყველაზე ნაკლებად გამართლებულად, როდესაც ცოლი ნებართვის გარეშე გადიოდა სახლიდან.

გრაფიკი №15:

ცოლის ცემის გამამართლებელი მიზეზები




მიზეზების მიმართ დამოკიდებულება განსხვავდებოდა რეგიონებისა და განათლების მიხედვით. ცოლის ცემას ყველაზე ნაკლებად ამართლებენ თბილისში, ხოლო

ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში. ცოლის ცემას ბევრად უფრო ამართლებენ საშუალო, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე პირები.

გრაფიკი №16:

ცოლის ცემის გამართლების მიზეზები რეგიონების მიხედვით



ცხრილი №3:

ცოლის ცემის გამართლების მიზეზები განათლების მიხედვით

	ცემის გამართლების მიზეზები	საშუალო %	უმაღლესი %	სულ %	Chi Square, df;p
1	იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ყურადღებას არ აქცევს ბავშვებს	18.1	10.1	13.7	29.1;2; 01
2	იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ეჩხუბება ქმარს	9.9	3.8	6.6	28.4;2; 01
3	იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი საჭმელს წვავს	7.7	3.5	5.4	15.5;2; 01
4	იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ქმარს უარს ეუბნება სქესობრივი კავშირის დამყარებაზე	7.1	2,6	4.6	24;2; 01
5	იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ქმრის ნებართვის გარეშე გადის სახლიდან	7.7	3.5	4.3	16.8;2; 01

2000 და 2005 წლებში, მსოფლიოს 26 ქვეყანაში მიღებული მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა 51% კითხვაში ჩამოთვლილ არცერთ შემთხვევაში ამართლებს ქმრის მიერ ცოლის ცემას (Pierotti, 2013წ.). საქართველოში ცემის არცერთ შემთხვევას ამართლებს გამოკითხულთა 76.6%. როგორც ზემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, ღალატი არ იქნა გათვალისწინებული შეკითხვაში ძალადობის გამამართლებელ ერთ-ერთ მიზეზად. თუმცა, ცხრილი 4-დან ჩანს, რომ რესპონდენტთა 95.5% ცოლის ცემის შესაძლო მიზეზად ღალატი მიაჩნია. ამასთან, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა რეგიონებისა (Chi-Square 59.3;df2;p<01) და განათლების (Chi-Square 38.2;df2;p<01) დონის მიხედვით. ძალადობას ყველაზე მეტად უარყოფენ თბილისში (38.6%), შემდეგ კახეთში (33.3%) და ყველაზე ნაკლებად სამეგრელო-ზემო სვანეთში (29.95). ძალადობა უფრო მიუღებელია უმაღლესი (59.4%), ვიდრე საშუალო განათლების მქონე პირებისთვის.

განათლება მნიშვნელოვან ფაქტორად გამოიკვეთა ევროპის 26 ქვეყანაში მიღებული მონაცემების ანალიზისას (Pierotti, 2013წ.). განათლების მაღალი სტატუსის მქონე ადამიანები უფრო მეტად უარყოფენ ძალადობას.

ძალადობის მიუღებლობა გენდერულ თანასწორობასთან არის დაკავშირებული (Chi-Square 68.9;df3;p<01). კაცის უპირატესობა უარყო იმ რესპონდენტთა 43.8%-მა, ვისთვისაც ძალადობა მიუღებელია, რესპონდენტთა 26.5%-ისგან განსხვავებით, ვისთვისაც ძალადობას რაღაც გამართლება აქვს.

ძალადობის გამართლების შემთხვევების შეფასების გარდა, რესპონდენტები ასევე აფასებდნენ ძალადობის შესაძლო მიზეზების ალბათობას. ცოლის მიერ ქმრის ღალატი, სიმთვრალე და ნარკოტიკების მოხმარება ყველა რეგიონში თანაბრად ხშირად არის მიჩნეული ძალადობის შესაძლო მიზეზად.

ცხრილი №4:


ოჯახში ძალადობის შესაძლო მიზეზები (რამდენიმე შესაძლო პასუხი)

პასუხები: არის ან შეიძლება იყოს ძალადობის მიზეზი

რანგი	მიზეზი	თბი- ლისი %	სამეგ- რელო- მეშო სვანეთი %	კახეთი %	სულ %	განსხვავება Chi-Square; df;p<.
1	ცოლის მიერ ქმრის ღალატი	96.7	94.7	94.7	95.5	n.s
2	ნარკომანია	95.2	91.7	93.9	93.6	n.s.
3	სიმთვრალე	93.9	91.1	94.2	93.1	n.s.
4	ქალების პროვოკაციული ქცევა	90.8	89.6	92.3	90.9	18.4;6;005
5	ძალადობისკენ გენეტიკური მიდრეკილება	85.6	79.7	91.9	86	33;6;001
6	უმუშევრობა	83.8	86	87.7	85.8	18.4;6;005
7	სიღარიბე	78.4	84.5	83.4	82.1	25.3;6;001
8	გენდერული უთანასწორობა	76.7	75.3	84.9	79	39.1;6;001
9	სქესებს შორის ძალაუფლების გადანაწილება	76.8	69	87.1	77.6	52.6;6;001
10	ის, რომ ადამიანი ყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი	80.9	67.4	84.3	77.5	66.9;6;001
11	ის, რომ ადამიანი ყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი	76.3	64.3	82.3	74.3	87.9;6;001
12	განათლების დაბალი დონე	74.9	69.1	65.4	69.8	n.s.
13	რელიგიური რწმენა	55.5	45.3	45.8	48.4	36.6;6;001
14	მედიასაშუალებები	51.5	39.4	40.3	43.7	36.9;6;001

გრაფიკი №17:

ოჯახში ძალადობის მიზეზები კვლევისა და ევრობარომეტრის მონაცემების მიხედვით



ნახაზი 17-დან კარგად ჩანს მიზეზების აღქმის თვალსაზრისით, წინამდებარე კვლევისა და ევრობარომეტრის მონაცემებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავება. წინამდებარე კვლევის რესპოდენტების მნიშვნელოვნად უფრო დიდ ნაწილს მიზეზად ქალის ქცევა, მოძალადის ძალადობისაკენ გენეტიკური მიდრეკილება, განათლების დაბალი დონე, ის, რომ ადამიანი წარსულში ძალადობის მსხვერპლი იყო, სქესებს შორის ძალაუფლების უთანასწორო განაწილება, უმუშე-


ვრობა და მედია მიაჩნია. რელიგიური რწმენა და ალკოჰოლიზმი კი ევროპაში უფრო მეტად არის აღქმული ძალადობის მიზეზად.

2.7. რეაქცია ოჯახში ძალადობაზე

რესპოდენტთა უმრავლესობის (79%) აზრით, ქმრის მიერ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში ცოლი უნდა გაშორდეს ქმარს.

გრაფიკი №18:


ცოლის რეაქცია ძალადობაზე



რეაქცია განსხვავებული იყო რეგიონის, რესპონდენტთა სქესის, ასაკისა და განათლების მიხედვით. თბილისის მოსახლეობის 80.1%, კახეთის 73% და სამეგრელო-ზემო სვანეთის 54.4%-ს მიაჩნია, რომ ცოლი ქმარს უნდა გაშორდეს, თუ მასზე ძალადობენ. ამდენად, მოთმენა უფრო მისაღებია სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობისათვის.

გრაფიკი №19:

ცოლის რეაქცია ძალადობაზე რეგიონების მიხედვით




ძალადობისადმი ყველაზე ნაკლები ტოლერანტობა გამოიჩინეს 18-30 წლის, ხოლო ყველაზე დიდი 60 წელს გადაცილებულმა რესპონდენტებმა. ახალგაზრდების 77.6%, 31-60 წლის რესპონდენტთა 68.8% და 60 წელზე უფროს რესპონდენტთა 55.3%-ს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში განქორწინება მიაჩნია საუკეთესო გამოსავლად (Chi-Square 57.1;df4;p<01). ქალებს (71.4%) კაცებზე (65.1%) უფრო მეტად მართებულიად მიაჩნიათ განქორწინება (Chi-Square 7.9;df2;p<01). განქორწინება უფრო მისაღებად მიაჩნიათ უმაღლესი (76.3%), ვიდრე საშუალო (60.5%) განათლების მქონე ადამიანებს (Chi-Square 69.2;df4;p<01).

ქალის მოტაცება მასზე დაქორწინების მიზნით, ასევე აღიქმება ძალადობად. რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ შეეფასებინათ, თუ რა არის მიზანშეწონილი რომ ქალმა მოტაცების შემთხვევაში გააკეთოს. **უმრავლესობის (78.9%) აზრით, ქალი არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაქორწინდეს. რესპონდენტთა 17.5%-ს ქორწინება აუცილებლად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ქონდა სქესობრივ კავშირს მოტაცებულ ქალსა და მის მომავალ მეუღლეს შორის, ხოლო 8.9%-ს, ქორწინება აუცილებლად მიაჩნია ყველა შემთხვევაში.**

გრაფიკი №20:


საპასუხო ქცევა მოტაცებაზე



რეაქცია განსხვავებული იყო რეგიონის, რესპონდენტთა სქესის, ასაკის და განათლების მიხედვით. თბილისის მოსახლეობის 92.2%, სამეგრელო-ზემო სვანეთის 82.4% და კახეთის 61.8%-ს მიაჩნია, რომ ქალი არ უნდა გაყვეს მომტაცებელს (Chi-Square 144.3;df4;p<01).

გრაფიკი №21:

საპასუხო ქცევა მოტაცებაზე რეგიონების მიხედვით



მოტაცებაზე განსხვავებული რეაქცია აქვთ ქალებსა და კაცებს, სხვადასხვა ასაკის და განათლების მქონე რესპონდენტებს. მოტაცების შემთხვევაში, ქალები (80.8%) კაცებზე (75.3%) უფრო მეტად არიან ქორწინების წინააღმდეგი (Chi-Square 7.4;df2;p<5). დაქორწინების მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ასაკთან ერთად იკლებს. ქორწინების წინააღმდეგია 18-30 წლის რესპონდენტთა 84,8%, 31-60 წლის რესპონდენტთა 81,0% და 60 წელს გადაცილებულ რესპონდენტთა 66.8%. (Chi-Square 47.6;df4;p<01). მომტაცე-


ბელთან ქორწინება უფრო ნაკლებად მისაღებია უმაღლესი (85.9%), ვიდრე საშუალო (70.6%) განათლების მქონე რესპონდენტებისათვის (Chi-Square 51.7; df2;p<01).

2.8. მართებული ქცევა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში რესპონდენტებს ქალისა და ბავშვის უფლებების დაცვის ყველაზე მართებულ სტრატეგიად მიაჩნიათ დახმარებისთვის ოჯახის წევრებისა ან ნათესავებისთვის მიმართვა.

გრაფიკი №22:

მართებული პასუხი ქმრის მიერ განხორციელებულ ძალადობაზე ძალადობაზე




თუ ჩვენ გავამსხვილებთ კატეგორიებს და გამოვთვლით საშუალო პროცენტს აღმოჩნდება, რომ რესპონდენტებს უმეტეს

შემთხვევაში მართებულად მიაჩნიათ დახმარებისათვის ახლობლებისათვის, შემდეგ ეკლესიისა და ადვოკატისთვის მიმართვა.

გრაფიკი №23:

მართებული რეაქცია ძალადობაზე (გამსხვილებული კატეგორიები)




მონაცემები ოჯახში ძალადობაზე მართებული რეაქციის თვალსაზრისით განსხვავდებოდა რეგიონების მიხედვით. აბლობლებისათვის მიმართვას ყველაზე

მეტი მომხრე თბილისში, ეკლესიისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხოლო განქორწინებას კახეთში ყავდა.

გრაფიკი №24:

ძალადობაზე მართებული რეაქცია რეგიონულ ჭრილში (გამსხვილებული კატეგორიები)




გამოკითხულთა 65.9%-ს მოსალოდნელად მიაჩნია, რომ ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლმა პოლიციას მიმართოს, ამის მოლოდინი არ აქვს 23.8%-ს, ხოლო 10.3% უჭირს პასუხის გაცემა. განსხვავება რეგიონების მიხედვით უმნიშვნელოა. ამის მოლოდინი ყველაზე მეტად აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის (68.6%) მოსახლეობას და ყველაზე ნაკლებად კახეთის (61%) მაცხოვრებლებს. თბილისელების 68% პოლიციისადმი მიმართვა მოსალოდნელად (Chi-Square 20.3; df4;p<01) მიაჩნია.

პოლიციისათვის მიუმართაობას ძირითად მიზეზად სირცხვილი და მეტი ძალადობის შიში სახელდება. ეს მიგნება მიუთითებს იმაზე, რომ რესპოდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ძალადობის მსხვერპლი ვერ გრძნობს საზოგადოების მხარდაჭერას ძალადობის ფაქტის განცხადებისას და პოლიციის მიერ გაწეული დახმარების ეფექტიანობაში ეჭვი ეპარება.

გრაფიკი №25:

პოლიციისადმი მიუმართაობის მიზეზები




პოლიციისათვის მიუმართაობის მიზეზების მიხედვით, ჯგუფები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან რეგიონების ჭრილში. განსხვავება მხოლოდ ორ პუნქტში აღინიშნა: პოლიციისადმი უნდობლობას ყველაზე მეტად აცხადებენ თბილისის (61.1%), შემდეგ კახეთის (53.5%) და ყველაზე ნაკლებად სამეგრელო-ზემო სვანეთის (41.2%) მაცხოვრებლები (Chi-Square 50;df4;p<01). ოჯახის შერცხვენის შიში პოლიციისათვის არ მიმართვის მი-

ზეზად მიაჩნიათ თბილისელთა 84.2%, სამეგრელო-ზემო სვანეთის მაცხოვრებელთა 82.2%-ს და კახეთის მოსახლეობის 77.5%-ს.

რესპონდენტები ასევე აფასებდნენ, თუ რამდენად მოსალოდნელად მიაჩნდათ კითხვარში ჩამოთვლილი ათიდან თითოეული ქცევის განხორციელება ახლო მეგობარზე ძალადობის შემთხვევაში.

გრაფიკი №26:

მოსალოდნელი ქცევა მეგობარზე ძალადობის შემთხვევაში




ირლანდიური კვლევის მონაწილეთა 95%-ს მიაჩნია (COSC, 2010წ.), რომ ძალადობის შემთხვევაში ის მეგობარს დაველაპარაკებოდა მის პრობლემებზე, მაგრამ კითხვას პირდაპირ ძალადობის შესახებ არ დასვამდა. 93% მეგობარს ურჩევდა დაკავშირებოდა ცხელ ხაზს, 87% მიემართა პოლიციისათვის, 74% მიმართავდა მეგობრებს, 35% თვითონ მიმართავდა პოლიციას და 35% დაველაპარაკებოდა მეგობრის პარტნიორს.

ქართველი რესპონდენტებისაგან განსხვავებით, როგორც ევრობარომეტრის, ასევე ირლანდიური კვლევების მონაწილენი ჩაჩვენის მეთ მზაობას გამოხატავენ.

გამსხვილებული კატეგორიების მიხედვით, ყველაზე მეტად მოსალოდნელი იყო მსხვერპლთან, შემდეგ მის ახლობლებთან საუბარი და რჩევის მიცემა მეგობრისთვის, ეკლესიისათვის მიმართვასთან დაკავშირებით.

გრაფიკი №27:

ჩარევის მზაობა ახლობელზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში გამსხვილებულ კატეგორიებში.




რესპონდენტების მოსალოდნელი რეაქცია ძალადობაზე განსხვავდება სქესისა და ასაკის მიხედვით: ჩარევის მზაობა ყველა შესაფასებელ შემთხვევაში უფრო დიდია ქალებში ვიდრე კაცებში და წრფივად კლებულობს ასაკის მატებასთან ერთად.

2.9. ინფორმაციის წყაროები

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეების ინფორმაციის ძირითადი წყაროების განსაზღვრა ოჯახში ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ინიციატივების დასაგეგმად. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე რესპონდენტები ინფორმაციას ტელევიზიიდან (65.2%), შემდეგ ინტერნეტიდან (45.3%), სხვა ადამიანებისგან (40.4%) ფეისბუქის და სხვა სოციალური ქსელებიდან (37.2%) იღებენ.

გრაფიკი №28:

ინფორმაციის წყაროები რეგიონების მიხედვით




სხვა ადამიანები, ინტერნეტი და ფეისბუქი ყველაზე მეტად წარმოადგენენ ინფორმაციის წყაროს თბილისელებისთვის,

ხოლო ტელევიზია კახეთის მოსახლეობისთვის.

გრაფიკი №29:

ინფორმაციის წყაროები ასაკობრივ ჯგუფში



ასაკი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ინფორმაციის წყაროს ტიპს. ტელევიზიის მნიშვნელობა იზრდება ასაკთან ერთად, ხოლო ინტერნეტისა და ფეისბუქის კლებულობს.

ყველაზე მეტი მაყურებელი ყავს ტელეკომპანია რუსთავი 2-ს (55.6%), შემდეგ იმედს (47%), მაცესტროს (32.1%) და შემდეგ საზოგადოებრივ მაუწყებელს (17.8%). უფრო ხშირად უყურებენ სერიالებს (58.3%), ახალ ამბებს (55.9%) და პოლიტიკურ თოქშოუებს (48.1%).


ბეჭდური მედია არ წარმოადგენს ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს. ყველაზე

ბევრი მკითხველი ყავს ჯორის პალიტრას (17.7%), შემდეგ სარკეს (8.8%), ასავალ-დასავალს (8.6%) და თბილისელებს (7.1%).

გამოკითხვის მიხედვით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის შესახებ რაღაც გაუგია რესპონდენტთა 78.1%, ხოლო არაფერი არ გაუგია 21.9%. ამ მონაცემის შედარება ევრობარომეტრში მიღებულ შედეგებთან არ არის შესაძლებელი იმის გამო, რომ ევრობარომეტრის კითხვარში მითითებული არ იყო დროის მონაკვეთი. ევროპაში ისეთი, ვისაც არასდროს არაფერი გაუგია ოჯახში ძალადობის შესახებ მხოლოდ 2% იყო.

გრაფიკი №30:

ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის წყაროები წინამდებარე კვლევისა და ევრობარომეტრის მიხედვით.




რესპონდენტთა უმრავლესობა (65.3%) ძალადობის შესახებ ინფორმაციას ტელევიზიიდან, შემდეგ კი სხვა ადამიანებისაგან (51.4%) იღებს. ევრობარომეტრის რესპონდენტების ინფორმაციის ძირითად წყაროს ტელევიზია (92%), შემდეგ კი ბეჭდვითი მედია (59%) წარმოადგენს.

ჯგუფები ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა მოცულობით იღებენ სხვადასხვა წყაროებიდან. ტელევიზიიდან ყველაზე მეტ ინფორმაციას იღებს სამეგრელო-ზემო სვანეთის

(72.1%), შემდეგ კახეთის (62.3%) და ბოლოს თბილისის (61.5%) მოსახლეობა. ქალების უფრო დიდ ნაწილს ქონდა ინფორმაცია ყველა წყაროს მიხედვით. ასაკთან ერთად მატულობს ინფორმაციის მიღება ტელევიზიიდან (62.4%, 67.2% და 68%), ჟურნალ-გაზეთებიდან (10.8%, 12.2% და 14%) და სხვა წყაროებიდან (7.4%, 7.8% და 7.8%). ინფორმაციის მიღება სხვებისგან (62.4%, 52.4% და 29.6%) და ინტერნეტიდან (33.7%, 15 და 1.3%) კი კლებულობს.

გრაფიკი №31:

ინფორმაციის წყაროები ასაკის მიხედვით




ტელევიზიის გარდა, უმაღლესი განათლების მქონე პირები საშუალო განათლების

მქონე პირებზე უფრო მეტად იყენებდნენ ინფორმაციის ყველა წყაროს.

გრაფიკი №32:

ინფორმაციის წყაროები განათლების მიხედვით



2.10. ცოდნა ოჯახში ძალადობის შედეგებისა და არსებული მომსახურების შესახებ

რამდენიმე კითხვა აფასებდა რესპონდენტთა ცოდნას ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, არსებული მომსახურების და ძალადობის შედეგების შესახებ.

კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმის - შემაკავებელი ორდერის შესახებ, ცნობილი იყო 57%-თვის. ევრობარომეტრის შეკითხვა უფრო ზოგადი სახით იყო ფორმულირებული და რესპონდენტებს სთხოვდა შეეფასებინათ იცოდნენ თუ არა, რომ მოძალადე შეიძლება დაისაჯოს კანონით. 77% ფლობდა ინფორმაციას ასეთი კანონის არსებობის შესახებ.

მოძალადის იზოლაციის შესაძლებლობაზე ყველაზე მეტად ინფორმირებული არიან

თბილისის (62.7%), შემდეგ კახეთის (56%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის (52.2%) მაცხოვრებლები (Chi-Square 11.5;df2;p<05). ყველაზე ნაკლებად ამის შესახებ იციან 60 წელს გადაცილებულმა პირებმა (47.6%, განსხვავებით 60.3% ახალგაზრდა (18-30) და 60.8% საშუალო ასაკის (31-60) რესპონდენტებისაგან (Chi-Square 18.9;df2;p<01). უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები (60.3%), საშუალო განათლების მქონე პირებზე (52.7%) უფრო მეტად არიან ინფორმირებულები.

არსებული მომსახურების სახეებიდან ყველაზე მეტმა რესპონდენტმა (57.4%) იცოდა უფასო იურიდიული დახმარების არსებობის შესახებ. ამის შესახებ ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთის (64.6%), შემდეგ თბილისის (54.6%) და ბოლოს კახეთის (53.3%) მაცხოვრებლები იყვნენ ინფორმირებულები (Chi-Square 15.3;df2;p<01). ამასთან, ქალები (59.1%) კაცებზე (54.3%) უფრო მეტად

არიან ინფორმირებულები (Chi-Square 3.1;df1;p<5). ასაკის მატებასთან ერთად, კლებულობს ინფორმირებულობის დონე (60.8% 18-30 ასაკობრივ ჯგუფში, 57.9% 31-60 ასაკობრივ ჯგუფში და 51.4% 60 წელს გადაცილებულთა ჯგუფში) (Chi-Square 8.6;df2;p<5). უმაღლესი განათლების მქონე პირები (60.9%) საშუალო განათლების მქონე პირებზე (53.1%) მეტად არიან ინფორმირებულები (Chi-Square 9.8;df1;p<5).

უფასო ფსიქოლოგიური კონსულტაციის შესახებ ცნობილი იყო 53.9%-თვის. ამის შესახებ ასევე უფრო მეტად ცნობილი იყო ქალებისათვის (56.6%), ვიდრე კაცებისათვის (48.9%). (Chi-Square 7.1;df1;p<05). ფსიქოლოგიური კონსულტაციის შესახებ ინფორმაცია კლებულობს ასაკთან ერთად (58.2%, 55%, 44.6% 30 წლამდე, 31-60 და 61 და ზემოთ ასაკის პირებთან შესაბამისად) (Chi-Square 17.9;df2;p<01). ინფორმაციას ფსიქოლოგიური დახმარების შესახებ უფრო მეტად ფლობენ უმაღლესი (58.1%), ვიდრე საშუალო განათლების მქონე ადამიანები (48.7%) (Chi-Square 13.1;df1;p<01).

ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზის შესახებ ინფორმირებულია 53.8%. ამის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულია კახეთის (62.4%), შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის (53%) და ყველაზე ნაკლებად

თბილისის (46%) მოსახლეობა (Chi-Square 27.1;df2;p<01). ქალები (57.2%) კაცებზე (47.2%) მეტად ინფორმირებულები არიან (Chi-Square 13.7;df1;p<01). ცხელი ხაზის შესახებ ყველაზე მეტმა 31-60 წლის (60.1%) რესპონდენტმა იცის. 30 წლამდე რესპონდენტთა 54.4%-მა და 61 წელს ზემოთ 45.1%-მა იცის ცხელი ხაზის არსებობის შესახებ (Chi-Square 18.7;df2;p<01). უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო მეტად (51.3%) არიან ინფორმირებულები ვიდრე საშუალო განათლების მქონე ადამიანები (56.8%) (Chi-Square 4.3;df1;p<5).


ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის შესახებ ინფორმაციას ფლობს 39.8%. ამის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულია კახეთის (45.7%), შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის (38.2%) და ყველაზე ნაკლებად თბილისის (35.5%) მოსახლეობა (Chi-Square 11.7;df2;p<01).

ქალები (44.7%) კაცებზე (30.5%) მეტად არიან ინფორმირებულები (Chi-Square 28.5;df1;p<01).

თავშესაფრის შესახებ ყველაზე მეტმა 31-60 წლის (45.1%) რესპონდენტმა იცის. 30 წლამდე რესპონდენტთა 38.2% და 60 წელს ზემოთ რესპონდენტთა 36% არის ინფორმირებული (Chi-Square 8.2;df2;p<5).

გრაფიკი №33:

ცოდნა არსებული მომსახურების შესახებ



ოჯახში ძალადობის მონმე ბავშვის განვითარებაში შეფერხების, ყურადღების დეფიციტის და სწავლაში ჩამორჩენის გაზრდილი რისკის შესახებ ინფორმირებული იყო 78.6%, მოზრდილობაში გულის დაავადების განვითარების გაზრდილი რისკის შესახებ კი 71.4%.

ძალადობის შედეგად ცოდნა განსხვავებული იყო რეგიონების მიხედვით. ბავშვის განვითარებაში შეფერხების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის 83.6%-ს, კახეთის მაცხოვრებელთა 86.4%-ს და თბილისის მოსახლეობის 66.1%-ს (Chi-Square 71.6; df2; p<01). ქალები (80.8%) კაცებზე (74.6.4%) მეტად იყვნენ ინფორმირებული. (Chi-Square 7.7; df1; p<05).

ზრდასრულობაში გულის დაავადების განვითარების გაზრდილი რისკის შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებული იყო

კახეთის (80.6%), შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა (80.1%) და ბოლოს თბილისის მოსახლეობა 54.2% (Chi-Square 109; df2; p<01).


ქალები (74.5%) კაცებზე (65.4%) მეტად იყვნენ ინფორმირებული (Chi-Square 13.9 ; df1; p<01). უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა უფრო დიდ ნაწილს (74.4%) აქვს ეს ცოდნა, საშუალო განათლების მქონე ადამიანებთან შედარებით (68.6%) (Chi-Square 6.4; df1; p<5).

2.11. ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები

რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (93.6%) გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციას მიიჩნევს ძალადობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებად.

გრაფიკი №34:

ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები




ევრობარომეტრის კითხვა, რომელიც ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიან საშუალებებს ეხებოდა, კვლევის კითხვისაგან განსხვავებით, სადაც შესაფასებლად 17 საშუალება იყო ჩამოთვლილი, მხოლოდ ოთხი მექანიზმის შეფასებას მოითხოვდა. სამი მათგანი მსგავსი სახით იყო კვლევის

კითხვარში წარმოდგენილი, ხოლო მეოთხე - „საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა“ კვლევის კითხვარში 4 მექანიზმის სახით იყო წარმოდგენილი. ამიტომ ნახ. 35-ში წარმოდგენილია მონაცემთა შედარება მხოლოდ სამი მექანიზმის მიხედვით.

გრაფიკი №35:

ძალადობასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებები კვლევისა და ევრობარომეტრის მიხედვით
ევრობარომეტრის რესპონდენტები სამივე მექანიზმს უფრო ეფექტიანად მიიჩნევენ.



3. კვლევის შედეგების

შედარება სხვა კვლევებთან


ქნიამდებარე კვლევის შედეგები, იქ სადაც მოგვეცა ამის საშუალება, შევადარეთ საქართველოში ჩატარებულ ქალთა მიმართ ძალადობის 2009 წლის (ჩიტაშვილი და სახვები, 2010წ.), ევრობარომეტრის (Eurobarometer, 2010წ.), ირლანდიაში (COSC, 2008წ.) და კალიფორნიაში (Tulchin, 2012წ.) ჩატარებულ კვლევების შედეგებს.

ქნიამდებარე კვლევა და 2009 წლის ეროვნული კვლევა სხვადასხვა მიზნით და განსხვავებული მეთოდოლოგიით ჩატარდა, რაც არ იძლევა ზუსტი შედარების საშუალებას, თუმცა შედარებისას გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები:

- ძალადობის მიმართ ტოლერანტობა შემცირდა;
- ოჯახში ძალადობა სულ უფრო მეტად აღიქმება დანაშაულად და არა ოჯახის კერძო საქმედ. თუ 2009 წელს ძალადობა ოჯახის საქმედ მიაჩნდა 78.3%-ს, 2013 წელს ასე ფიქრობდა მხოლოდ 25%; თუმცა პოლიციისათვის მიუმართაობის ძირითად მიზეზად 2013 წელს, ისევე როგორც 2009 წელს სირცხვილი სახელდება;
- 27.8%-დან 17.1%-მდე შემცირდა იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც მიაჩნია რომ მსხვერპლმა ძალადობის შესახებ არავის არ უნდა მოუყვას;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა ძალადობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართვის მზაობა.

გრაფიკი №36:

სხვადასხვა წყაროებისადმი დახმარებისათვის მიმართვის მზაობა 2009 და 2013 წლებში



ძალადობის გავრცელების მასშტაბის აღქმა მსგავსია ევროპასა და საქართველოში. საქართველოს მოსახლეობის 77.8%-ს, ევრობარომეტრის რესპონდენტთა 78%-სა და ირლანდიაში ჩატარებული კვლევის მონაწილეთა 70%-ს ძალადობა გავრცელებულად მიაჩნია. მსგავსია ძალადობის სხვადასხვა ფორმების სიმძიმის მიხედვით შეფასებაც – ყველაზე მძიმედ ფიზიკური, ხოლო ყველაზე მსუბუქად სიტყვიერი ძალადობაა მიჩნეული.

ძალადობაზე რეაქციის სახეების შერჩევა ჩვენი და ირლანდიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით განსხვავებულად ხდება. ყველა სახის ჩარევისთვის, გარდა პარტნიორთან პირდაპირ დალაპარაკებისა, უფრო მეტ მზაობას ირლანდიელი რესპონდენტები გამოხატავენ.

ძირითადი განსხვავება ევროპელ და ქართველ რესპონდენტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ევროპელები უფრო მეტად ეყრდნობიან კანონს და მეტად ენდობიან არსებულ მომსახურებას.

4. დასკვნები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი დამოკიდებულების შეფასება თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

კვლევამ ცხადყო, რომ ძალადობა, როგორც მძიმე პრობლემა, ყველგან არის აღიარებული. უპირველეს ყოვლისა, ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევად არის მიჩნეული. ოჯახში ძალადობა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა დაკავშირებულია გენდერულ უთანასწორობასთან. ის, ვინც გენდერული თანასწორობის მომხრეა და არ აღიარებს კაცის ქალზე უპირატესობას, ნაკლებად ტოლერანტულია ძალადობის მიმართ. ფიზიკური ძალადობა ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმად არის მიჩნეული.

ძალადობის მიუღებლობის მასშტაბი მნიშვნელოვანია. წინა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგებთან შედარება, ცალსახად მიუთითებს ტენდენციამე ძალადობა უფრო მეტად იქნეს აღქმული, როგორც დანაშაული და არა როგორც ოჯახის კერძო საქმე. ასევე გაზრდილია ძალადობაზე ღიად საუბრის მზაობა.

ძალადობის კულტურასთან და ძალადობის შემწყნარებლობასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებად აღზრდა და განათლება, საზოგადოების მიერ გენდერული თანასწორობის იდეის გაზიარება და განხორციელება, შემდეგ კი კანონმდებლობის გამკაცრება და მისი უფრო

ეფექტიანი აღსრულება არის მიჩნეული. ამასთან, ხაზგასმულია მოძალადესთან მუშაობის აუცილებლობა.

საერთო მიდგომებთან ერთად, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი განსხვავებები რეგიონის, რესპონდენტთა სქესის, განათლების სტატუსის და ასაკის მიხედვით.

ძალადობის აღიარების, შეფასების და მიმდებლობის, ასევე გენდერული თანასწორობის მიმართ რეგიონულ ჭრილში განხილვისას, გამოიკვეთა შემდეგი კანონზომიერებები: ძალადობისადმი შეუწყნარებლობა ყველაზე დიდია თბილისში და შემდეგ კახეთში, შესაბამისად ყველაზე ნაკლებია სამეგრელო-ზემო სვანეთში. სამეგრელო-ზემო სვანეთში ძალადობის ნაკლებად აღიარება შესაძლებელია განპირობებული იყოს კახეთსა და თბილისთან შედარებით საზოგადოებაში კაცის უპირატესობის უფრო მაღალი მიმდებლობით.

ქალები კაცებზე უფრო ნაკლებ ტოლერანტობას იჩენენ ძალადობის მიმართ და უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი ძალადობის მიზეზებისა და შედეგების, აგრეთვე არსებული მომსახურების შესახებ.

განათლება აშკარად განსაზღვრავს დამოკიდებულებას ოჯახში ძალადობის და ქალებზე და გოგონებზე ძალადობის მიმართ. უთანასწორობა და ძალადობა ბევრად უფრო მიუღებელია უმაღლესი, ვიდრე საშუალო განათლების მქონე ადამიანებისათვის.

მკვეთრია განსხვავება 60 წელს გადაცილებულ და უფრო ახალგაზრდა რესპონდენტებს შორის. ასაკოვანი რესპონდენტები უფრო ტოლერანტულები არიან ძალადობის მიმართ, მათ უფრო მეტად მიაჩნიათ ძალადობა ოჯახის საქმედ და არა დანაშაულად, ისინი ასევე ნაკლებ ინფორმაციას ფლობენ მის შესახებ. ნაკლებად მკვეთრი, მაგრამ მნიშვნელოვანი განსხვავება ასევე არსებობს 30 წლამდე და 31-60 წლის ასაკობრივ ჯგუფებს შორის. ახალგაზრდა რესპონდენტები ნაკლებად ტოლერანტულები არიან ძალადობის მიმართ და გენდერული თანასწორობის იდეა მათთვის უფრო მისაღებია.

რეგიონის, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით განსხვავებები შეიძლება განიმარტოს გლობალური სცენარების დიფუზიის ცნების მიხედვით (Mayer et al., 2010წ.; Dobbin & Garrett, 1997წ.). დამოკიდებულებების ცვლილება ხორციელდება უფრო გლობალური იდეების გავრცელების, ვიდრე ადგილობრივი პოლიტიკის შედეგების მიხედვით. ამდენად განათლების დონე და ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან წვდომა, რაც როგორც

განათლების დონესთან ასევე ასაკთან არის დაკავშირებული, ზეგავლენას ახდენს ძალადობისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე.

კვლევაში დაადასტურა საქართველოს მოსახლეობისა და ევრობარომეტრის რესპოდენტთა ძირითადად მსგავსი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ. თუმცა, გამოჩნდა განსხვავებებიც. ევრობარომეტრის რესპოდენტები უფრო მეტად არიან კანონზე და არსებულ მომსახურებაზე დამოკიდებულნი. გამოჩნდა ასევე სქესის, განათლებისა და ასაკის ეფექტი ძალადობისადმი დამოკიდებულებასა და მის შეფასებაზე. საქართველოში და ევროპაშიც ძალადობა უფრო მეტად მიუღებელია ქალებისათვის, უმაღლესი განათლების მქონე და ახალგაზრდა ადამიანებისთვის.

კვლევაში ცალსახად გამოიკვეთა კავშირი გენდერულ თანასწორობასა და ოჯახში ძალადობისა და ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის მიუღებლობას შორის, რაც ჩვენი აზრით, საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგია, რომელიც ნაკლებად არის შესწავლილი ემპირიულ კვლევებში.

5. განსახორციელებელი ქმედებები

ოჯახში ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის, უთანასწორობის, განსხვავებული აზრისა თუ ქცევის მოუთმენლობის, ადამიანის ღირსების უპატივისმცემლობის გაგება, მოითხოვს მთელ საზოგადოებაზე მიმართულ მოქმედებათა კომპლექსის განხორციელებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ცნობიერების ამაღლების ინტერვენციებში აუცილებელია აქცენტის გაკეთება იმაზე, თუ რა ზეგავლენა აქვს ოჯახში ძალადობას ბავშვებზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალადობის საინიციატივო პროპაგანდის პროცესში საზოგადოების ყველა სეგმენტის აქტიურ ჩართვას.

ერთობლივი ღონისძიებების საჭიროებასთან ერთად, კვლევამ წარმოაჩინა დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელებისას, რომლებიც გამიზნულია ფოკუს ჯგუფებზე რეგიონების, სქესის, ასაკობრივი ჯგუფისა და განათლების დონის მიხედვით.

გენდერული თანასწორობის იდეის პოპულარიზაციის საჭიროება უფრო მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთში, თბილისთან და კახეთთან შედარებით. აქცენტი უნდა გაკეთდეს კაცებზე, ვინაიდან მათ წარმოაჩინეს ნაკლებად ეგალიტარული დამოკიდებულება, ძალადობის მეტი შემცნარეობა და ნაკლები ცოდნა ძა-

ლადობის შედეგებისა და არსებული მომსახურების შესახებ, ვიდრე ქალებმა. განათლებას გადამწყვეტი როლი აქვს ძალადობის მიმართ დამოკიდებულებების განსაზღვრისას. მეტი მუშაობაა საჭირო განათლების უფრო დაბალი დონის მქონე მოსახლეობასთან მათთვის გასაგები ზომებისა და ენის გამოყენებით. განსხვავებული მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული ახალგაზრდებთან და ნიწელს გადაცილებულ პირებთან მუშაობისას.

ოჯახის წევრები, მასწავლებლები, პოლიციელები, ეკლესია, ელექტრონული, ბეჭდვითი და სოციალური მედია წარმოადგენენ აგენტებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს ცნობიერების შეცვლა.

კვლევამ დაადასტურა ტელევიზიის, როგორც ინფორმაციის წყაროს მნიშვნელობა ასაკოვანი ადამიანებისათვის, ხოლო სოციალური მედიის მნიშვნელობა ახალგაზრდობისათვის. ინტერნეტ ფორუმები შეიძლება გახდეს, როგორც ინფორმაციის წყარო, ასევე მხარდაჭერის ან რესოციალიზაციის საშუალება როგორც ძალადობის მსხვერპლების, ისე მოძალადეებისთვის.

კვლევამ წარმოაჩინა განათლების დაბალი სტატუსის მქონე ადამიანებთან ინტენსიური მუშაობის აუცილებლობა. ადამიანები, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ თემში, აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ

ძალადობის წინააღმდეგ პროპაგანდაში. ინფორმაციის მიწოდება დიდწილად უნდა მოხდეს უშუალო კონტაქტის მეშვეობით, იქნება ეს არაფორმალური შეხვედრები, თემის შეკრებები თუ სხვა.

ევლესიის როლი დიდი და მზარდია, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. კვლევაში გამოვლინდა, რომ გენდერული უთანასწორობის გამართლება ხშირად ხდება რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციით. ევლესიას დიდი როლის შესრულება შეუძლია თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის ღირებულების გავრცელებასა და განმტკიცებაში, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის, ასევე ყველა სხვა ტიპის ძალადობის მიუღებლობის ჩამოყალიბებაში.

განათლება ძალადობის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად არის მიჩნეული. ეროვნულ სასწავლო გეგმებში თანასწორობისა და ძალადობის საკითხების შეტანის გარდა, ძალზე მნიშვნელოვანია პედაგოგთა დამოკიდებულებები, ვინაიდან ისინი ბავშვებისთვის ერთგვარ მაგალითს წარმოადგენენ. ბავშვის აღზრდის საკითხებზე მშობლები ყველაზე ხშირად სწორედ პედაგოგებთან ურთიერთობენ. ამდენად, აუცილებელია მასწავლებელთა ინფორმირება და მათთვის ტრენინგების ჩატარება.

ამასთან, მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკების, პედაგოგების, პოლიციელების და ჯანდაცვის სისტემის მუშაკთა სწავლება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციასა და მათთვის დახმარების აღმოჩენის საკითხებზე.

კონკრეტული ღონისძიებები ოჯახში ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის შესამცირებლად:

- **ცნობიერების ამაღლების ინტერვენციების ფოკუსირება საზოგადოების ყველა სეგმენტზე და ასეთ კამპანიებში მოქალაქეების მეტი მონაწილეობა** - ოჯახში ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის, უთანასწორობის, განსხვავებული აზრის ან ქმედების შეუწყნარებლობის, ადამიანის ღირსების უგულვებელყოფის აღქმა მოითხოვს მთელ საზოგადოებაზე გამომწვეული კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას. აუცილებელია მოსახლეობის აქტიური ჩართვა ძალადობის წინააღმდეგ კამპანიების განხორციელების პროცესში. ამასთან, აუცილებელია ჟურნალისტების ტრენინგი გენდერული თანასწორობისა და გენდერულად მგრძნობიარე ჟურნალისტიკის საკითხებზე. ცნობიერების ამაღლების ტრადიციულ სტრატეგიებთან ერთად, მნიშვნელოვანია ინოვაციური მეტოდების გამოყენება.

- **გენდერული თანასწორობის პოპულარიზაცია** - მნიშვნელოვანია სხვადასხვა მედიასაშუალებების, მათ შორის სოციალური მედიის გამოყენება გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციისათვის, როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების განუყოფელი ღირებულებისა და როგორც საშუალებისა ოჯახში ძალადობის და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის დასამარცხებლად. უნდა მოხდეს კაცის, როგორც მზრუნველი მეუღლისა და მამის იმიჯის პოპულარიზაცია. გენდერული თა-

ნასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ინტერვენციები გამიზნული უნდა იყოს როგორც ქალებზე, ისე კაცებზე.

- **აღზრდა** - მოძალადის და მსხვერპლის როლების შესწავლა/გათავისება ბავშვობაში და ძირითადად ოჯახში ხდება. ძალადობის ჯაჭვის გასაწყვეტად აუცილებელია ჯანმრთელი ოჯახური გარემო. ამისათვის საჭიროა მშობლებში თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის ღირებულებების დამკვიდრება, რის განხორციელებაც შესაძლებელია მედია-საშუალებებით, მშობლების ინფორმირებით ბუკლეტების, კონსულტაციებისა, თუ შესაბამისი ტრენინგების მეშვეობით.

- **განათლება** - გენდერული თანასწორობის სწავლება ინტეგრირებული უნდა იყოს განათლების ყველა დონეზე, დანერგული სკოლამდელი და დამთავრებული უმაღლესი განათლების პროგრამებით. სკოლის კურიკულუმში ასახული უნდა იყოს ჯანმრთელი ურთიერთობების, საკუთარი მიზნების არააგრესიული გზით მიღწევის, კომპრომისის ტექნიკის სწავლება.

- **ქალთა გაძლიერება** - უნდა განხორციელდეს ღონისძიებები ქალთა რესურსების, მათ შორის მათთვის ეკონომიკური რესურსებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

- **მართლმადიდებლური ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობა** - მოძიებული უნდა იქნეს შესაძლებლობები რელიგიურ ღირებულებებთან პარტნიორობისათვის, კერძოდ მათი მონაწილეობისათვის ოჯახში ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული

რთულ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიებში, რომლებიც ახდენენ მშვიდობის, სიყვარულისა და სქესის მიუხედავად ადამიანის ღირსების პატივისცემის პოპულარიზაციას.

- **ძალადობის კრიმინალიზაცია** - ძალადობის, როგორც დანაშაულის და არა ოჯახის კერძო საქმის იდეის პოპულარიზაცია. საზოგადოებაში ძალადობის და უთანასწორობის ნებისმიერი ფორმისადმი მიუღებლობის დამკვიდრება.

- **მსხვერპლის მხარდაჭერა** - უნდა შეიქმნას მსხვერპლის ფსიქოლოგიური, იურიდიული და სამედიცინო კონსულტირების და მხარდაჭერის მეტი შესაძლებლობები, მსხვერპლის ტრენინგი თავის გატანის, თვითშეფასების ამაღლებაში. უნდა მოხდეს მსხვერპლის განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა. მსხვერპლის ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. ამა-სთან, რეგიონებში უნდა გაიხსნას მეტი თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი.

- **მოძალადის რესოციალიზაცია** - ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოძალადეთა ფსიქოლოგიური კონსულტაცია, ალკოჰოლიზმის ან ნარკომანიის შემთხვევაში მათი მკურნალობა. შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლოს მიერ ასეთი მომსახურების დანიშვნა.

- **ბავშვისადმი ძალადობის პრობლემის გაცნობიერება** - კვლევამ ცხადყო, რომ მშობლები ვერ ახდენენ ბავშვისადმი საკუთარი ქცევის სწორ იდენტიფიკაციას, ვერ ავლენენ ზღვარს აღზრდასა და ძალადობას შორის და ძალადობის ფაქტებს აღმზრდელობით აუცილებლობად მი-

ინევენ. აუცილებელია მშობელთა კონსულტაცია, ინფორმირება და სწავლება აღზრდის სწორი მეთოდებისა და საშუალებების შესახებ.

- **სიძულვილის ენის გამოყენების შეზღუდვა** - კვლევამ წარმოაჩინა სიძულვილის ენის როლი, როგორც ფიზიკური და სხვა ტიპის ძალადობის წინმსწრები ფორმა. მედიაში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიძულვილის ენის გამოყენება და ბილწსიტყვაობა უნდა გახდეს დასჯადი.

- **ძალადობის გავრცელების და ძალადობისადმი დამოკიდებულების კვლევების რეგულარულად ჩატარება** - ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ქმედებების მონიტორინგისა და ეფექტიანი შემდგომი ინტერვენციების დაგეგმვის მიზნით, აუცილებელია კვლევების რეგულარულად, 3 წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარება. მეტად უნდა იქნეს შესწავლილი ურთი-

ერთკავშირი გენდერულ თანასწორობასა და ძალადობის მიუღებლობას შორის.

- **კონტექსტის შესაბამისი ღონისძიებების საჭიროება** - ქვეყნის მასშტაბით განსახორციელებელ ინტერვენციებთან ერთად, აუცილებელია კონტექსტის შესაბამისი მიდგომა რესპოდენტთა საცხოვრებელი ადგილის, სქესის, ასაკობრივი ჯგუფისა და განათლების სტატუსის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ გენდერული თანასწორობის იდეის პოპულარიზაციის საჭიროება უფრო მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთში, ვიდრე თბილისსა და კახეთში. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კაცებზე, რადგან ისინი მეტად მიდრეკილნი არიან უთანასწორობის მიმდებლობისაკენ. მეტი ძალისხმევაა საჭირო უმაღლესი განათლების არმქონე ჯგუფებთან. მათთან, ისევე როგორც ახალგაზრდებთან და საშუალო ასაკის პირებთან მუშაობისას გამოყენებული უნდა იქნეს განსხვავებული ინსტრუმენტები.

ბიბლიოგრაფია

ჩიტაშვილი, მ., ჯავახიშვილი, ნ., არუთინოვა, ბ., წულაძე, ლ., ჩაჩანიძე, ს. (2010). ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში. საბოლოო ანგარიში. თბილისი. COSC (2008). Attitudes to Domestic Abuse in Ireland.

COSC (2009). National Strategy on Domestic, Sexual, and Gender-Based Violence 2010-2014.

Dobbin, F.B.S., Garrett, G. (2007). The Global Diffusion of Public policies: Social construction, Coercion, competition of learning. Annual Review of Sociology, 33, 4489-472

Eurobarometer (2010).

Meyer, J.W., Boli, J., Thomas, G.M., Ramirez, O. (1997). World society and the nation state. American Journal of Sociology, 103, p.144-181. Pierotti, R.S. (2013). Increasing Rejection of Intimate Partner Violence: Evidence of Global Cultural Diffusion. American Sociological Review, 78, 240-265. Eurobarometer on domestic Violence (2010).

Sumbadze, N. (2011). Georgia country case study. Background paper. World Development Report 2012.

Tulchin, B., & O'Neill, C. (2012). Public Opinion Towards Domestic Violence. Tulchin research. COSC (2008). Attitudes to Domestic Abuse in Ireland.

COSC (2009). National Strategy on Domestic, Sexual, and Gender-Based Violence 2010-2014.

Eurobarometer (2010).

Pierotti, R.S. (2013). Increasing Rejection of Intimate Partner Violence: Evidence of Global Cultural Diffusion. American Sociological Review, 78, 240-265. Eurobarometer on domestic Violence (2010).

Sumbadze, N. (2011). Georgia country case study. Background paper. World Development Report 2012.

Tulchin, B., & O'Neill, C. (2012). Public Opinion Towards Domestic Violence. Tulchin research.

